ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 ნოემბერი 2006 №265 (2887) ფასი 50 თეთრი


# ტოპმიოლერი ნახევარი გუნდით თამაშს მიეჩვია

## ტაბარესს კი მარტო რეკობა აკლია






SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# დარწმუნებული ვარ, დაგარწმუნებდით

**გუშინ** კლაუს ტოპმიოლერმა ურუგვაისთან სადღეისო ჯახისთვის მოსაკლისებული ფეხბურთელები ჩამოთვალა და, სია იმხელაა, ერთი კარგი ნაკრები თავისუფლად გაკეთდებოდაო, თქვა.

არა და არ ეღირსა ჰერ კლაუსს ოპტიმალური შემადგენლობის მინდორზე გაყვანა — საურუგვაიოდ ჯერ ისე ხომ ნარჩევი კრებული შეიგულა და პლუს დანაკლისი გზადაგზა კიდევ წამოეწია.

ახლა კი ტოპის მატჩისწინა პრესკონფერენცია, რომელიც ნაკრების დახურული ვარჯიშის შემდეგ გაიმართა „ეროვნულის" საპრესკონფერენციო დარბაზში...



— სამწუხაროდ, ოთარ ხიზანეიშვილი ავად გახდა და ფრაიბურგიდან ვერ ჩამოვიდა, დავით კვირკველიას კუნთი აწუხებს, საეჭვოა ჯაბა კანკავას თამაშიც — მუხლი სტკივა. ხიზანეიშვილის ნაცვლად ქუთაისის „ტორპედოს" მცველი დავით გამეზარდაშვილი ავიყვანეთ. ასე რომ, ბევრი ფეხბურთელის შეცვლა მოგვიხდა, მაგრამ არ ვწუწუნებთ — თავის გამოჩენის შანსი ხომ ახალბედებს ეძლევათ. მინდა გითხრათ, რომ დაცვის ცენტრში გიორგი შაშიაშვილი და ლაშა სალუქვაძე იქნებიან. ვიცი, ისინი თბილისის „დინამოში" ერთად თამაშობდნენ. შედარებით ნაკლები პრობლემაა ნახევარდაცვასა და თავდასხმაში.

— როდის გადაწყდება, კანკავა ითამაშებს თუ არა?

— ხვალ ზუსტად გვეცოდინება. ჯაბა დღეს საავადმყოფოში გვყავდა. თავად ფრთხილობს, თორემ ექიმი ამბობს, საშიში არაფერია, მისი თამაში შეიძლებაო.

— ალექსანდრე იაშვილი რატომ არ გამოიძახეთ?

— იაშვილს კარგად ვიცნობ, მისი შესაძლებლობების შესახებ ყველაფერი ვიცი და, რადგან მატჩი ამხანაგურია, თავდასხმაში ახალი ფეხბურთელები მოვიწვიე — თუნდაც დავით სირაძე...

— ურუგვაისთან მატჩში შეცვლების რაოდენობაზე როგორ შეთანხმდით?

— ექვს შეცვლაზე შევთანხმდით.

— ხვალაც თუ მეკარის პრობლემამ იჩინა თავი, უცხოელი გოლკიპერის მოწვევის საკითხი ისევ ხომ არ დადგება?

— არა, ამ თემაზე საუბარი უკვე დამთავრდა. არსებობს წესი, თუ უცხოელის ჩამოყვანა გსურს, ის, სულ მცირე, ორი წელი უნდა ცხოვრობდეს შენს ქვეყანაში, თუ უცხოეთში ცხოვრობს, წინაპარი უნდა ჰყავდეს აქაური.

— მოკლედ თუ შეგიძლიათ შეაფასოთ ის პერიოდი, რაც საქართველოს ნაკრებს თავკაცობთ?

— ჩვენ თებერვალში დავიწყეთ მუშაობა, ვიყავით მალტის ტურნირზე, მერე იყო პაუზა... დღესაც მჯერა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, თუმცა საქართველოს ნაკრებს გაზაფხულზე არ ჰქონდა ასეთი მძიმე პრობლემები, როგორც დღეს — ტრავმებს და დისკვალიფიკაციებს ვგულისხმობ. ახლაც უკვე წინასწარ ვიცით, რომ მარტში შოტლანდიასთან შეხვედრაში ორი წამყვანი ფეხბურთელი არ გვეყოლება — კანკავა და ასათიანი. რაც ნაკრებში ვმუშაობ, ბევრი პოზიტიური მოხდა. ჩვენ გვაქვს მატჩების ანალიზის ისეთი სისტემა, რაც გერმანიაში ექვს-შვიდ კლუბს თუ აქვს. ყველაფერს უმაღლეს დონეზე, მისხალ-მისხალ ვარჩევთ. მაგალითად, იტალიასთან თამაშმა გვიჩვენა, რომ მინდორზე საუკეთესო იყო დე როსი, რომელმაც ყველაზე მეტი სწორი პასი გააკეთა, იშვიათად კარგავდა ბურთს, კარში ზუსტად ურტყამდა...

— და მაინც, თუ შეიძლებოდა, განვლილ ოთხ შესარჩევ შეხვედრაში ნაკრებს უკეთესი შედეგი ჰქონოდა?

— ექსპერტები ამბობენ, საქართველოს საფრანგეთ-იტალია-უკრაინასთან შანსი არა აქვსო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, მინდორზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ. უკრაინასთან ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ თუნდაც მარტო კახა კალაძე რომ გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, იმ მატჩს მოვიგებდით. იგივეს ვიტყვი იტალიასთან შეხვედრაზეც — სრული შემადგენლობით თამაშის შემოხვევაში სხვა შედეგს მივიღებდით. ანუ დარწმუნებით ვამბობ: საქართველოს ნაკრებმა ოპტიმალური შემადგენლობით რომ ითამაშოს, ძალიან ძლიერი გუნდი იქნება.

— მეორე ნაკრების იდეა თავადვე მოიწონეთ და რომელი მწვრთნელი აჯობებს ამ ნაკრების თავკაცის პოსტზე?

— ახლა ურუგვაისთან მატჩზე ვფიქრობ და ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთთან შემტევი სქემით ითამაშა, უკრაინასთან კი დაცვითით. ურუგვაისთან რომელ ვარიანტს აირჩევთ, ტაქტიკურ მონახაზს ხომ არ შეცვლით?

— რადგან მატჩი ამხანაგურია, გამონაკლისს დავუშვებ და გაგიმხელთ, ურუგვაისთან ალბათ 4-4-2 სქემით ვითამაშებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ხიზანეიშვილმა ნაკრებში გამეზარდაშვილი მიიწვია

*კლაუს ტოპმიოლერის გუნდში ურუგვაის ნაკრებთან თამაშის წინ კიდევ ერთი ცვლილებაა: ავადმყოფობის გამო ნაკრებს ფრაიბურგელი მცველი ოთარ ხიზანეიშვილი გამოაკლდა და ტოპიმ მისი ადგილის შესავსებად გუნდი კიდევ ერთი დებიუტანტით შეავსო — ქუთაისის „ტორპედოს" კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი გამოიძახა. იგი ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა და ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მისი გამოძახება ჩვენთვის მოულოდნელი არც ყოფილა, თავად მოთამაშისთვის კი...*



— სიმართლე გითხრათ, ახლა გამოძახებას ნაღდად არ ველოდი. ნაკრების მწვრთნელებს საურუგვაიო შემადგენლობა შევსებული ჰქონდათ და ვიცოდი, რომ აღარავის დამატებას არ აპირებდნენ.

— ოთარ ხიზანეიშვილმა ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა ნაკრებში ჩამოსვლა და ტოპმიოლერმაც ამიტომ გამოგიძახა...

— ეს არ ვიცოდი. საწყენია, რომ ოთარი ავადაა, თუმცა ისე გამოვიდა, შანსი სწორედ მან მომცა.

— მოკლედ, ახლა საქართველოს ნაკრების წევრი ხარ...

— და ძალიან გახარებული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგურია. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს — დიეგო ფორლანის, გუსტავო ვარელას და სხვა ურუგვაელი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში დიდი სიამოვნებაა. ვერ გეტყვით, ასეთი დონის ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშის შანსი კიდევ როდის მექნება, მაგრამ ყველაფერს გავილებ, რათა ეს სიამოვნება მომავალშიც არ მოვიკლო.

— ახალი კლუბის მოძებნას ხომ არ აპირებ?

— ჯერ ისევ „სკონტი" ვეკუთნი და თუ რამე ვარიანტი გამოჩნდა, ყველაფერი ლატვიელთა გადასაწყვეტი იქნება.

— პირველი წრის შემდეგ „სკონტოში" უნდა დაბრუნდე?

— აუცილებლად. მინდა, ძალები გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატში მოვსინჯო.

— „სკონტომ" ლევან კორღალიძე და დავით ჩალაძე გაუშვა. შენ რას გიპირებენ?

— ხელმძღვანელობას ველაპარაკე და რიგაში მელიან. რაც შეეხება გუნდიდან გაშვებულ ქართველებს, როგორც ვიცი, „სკონტოს" ხელმძღვანელობა მხოლოდ ასაკოვან ფეხბურთელებს შეელია. მე და ზაალ ელიავას კი ეს საფრთხე არ გვემუქრება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი ზღვა და საქართველო
# კანდელაკი იღბლიან 2010 წელს ელის

ილია კანდელაკი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სტაბილურადაა, თუმცა ერთია — ბოლო შეხვედრებში მას ძირითადად შეცვლებზე უწევს შესვლა. თან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ტოპმიოლერს თითქმის ყოველთვის პირველივე ტაიმში შეჰყავს და კანდელაკიც უმართლებს. ქართველი ფეხბურთელი ოდესის „ჩერნომორეცის“ ერთ-ერთი ლიდერიცაა — „მეზღვაურთა“ მთავარ მწვრთნელ სემიონ ალტმანის ხელში ილია მუდმივად ძირითადში იყო, მაგრამ... ალტმანი ჯანმრთელობის გაუარესების გამო კლუბს ჩამოშორდა, მისი დროებითი შემცვლელი ვიქტორ დოგადაილო კი კანდელაკს აღარ ენდობა და... ილიას ნაკრების ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ...



— ურუგვაის ნაკრები საკმაოდ სიმპათიური გუნდია, ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ამასთან, ურუგვაელები სამხრეთამერიკული ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენლები არიან, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. რა თქმა უნდა, მოსაგებად ვიბრძოლებთ და, ვფიქრობ, მაყურებელს საკმაოდ სანახაობრივი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ.

— **ჩვენი ნაკრები ისევ არაოპტიმალური შემადგენლობითაა. რა შანსი აქვს საქართველოს ურუგვაისთან?**

— რატომღაც ბოლო დროს ეს სენი დაგვჩემდა — ერთხელაც ვერ შევძელით უძლიერესი შემადგენლობის შეკრება. თუმცა, ვფიქრობ, უშანსოდაც არ ვართ.

— **ნაკრების ბოლო შეხვედრებს როგორ შეაფასებდი?**

— იმის მიუხედავად, რომ ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვითამაშეთ, საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ვფიქრობ, იღბალი ჩვენ მხარეს რომ ყოფილიყო, გაცილებით მეტი ქულა გვექნებოდა.

— **ნაკრებისთვის ქულის მოტანა შენც შეგეძლო...**

— უკრაინასთან შეხვედრას გულისხმობთ? ფორტუნა მაშინაც მეტოქის მხარეს იყო. უკეთესი იქნებოდა, მარჯვენა ფეხით დამერტყა, მაგრამ მარცხენათი უფრო ძლიერად ვურტყამ და ამიტომაც მივიღე ისეთი გადაწყვეტილება, თუმცა მარცხენა ფეხისთვის უხერხულ პოზიციაში ვიდექი და... ეტყობა, იმ შეხვედრაში ქულის აღება არ გვეწერა, თორემ „მუმუს“ დარტყმას წუნი არ დაედებოდა და შოვკოვსკიმ როგორი ბურთი აიღო, ყველამ ნახეთ...

— **ფაქტობრივად, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ დარჩა...**

— მართალია, ეს შანსი მიზერულია, მაგრამ... იქნებ იღბალმა აღარ გვიმტყუნოს და რაღაც შეიცვალოს. ვფიქრობ, ნაკრები თანდათან ძლიერდება და ამ გუნდს თავისუფლად შეუძლია, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძოლოს.

— **კლუბზეც ვთქვათ. ბოლო შეხვედრებია, ალტმანის შემცვლელი დოგადაილო ძირითადში ადგილს აღარ განდობს...**

— ვერ გეტყვით, რა არის ამის მიზეზი. პირველი წრის დასრულებამდე ცოტაღა დარჩა, საახალწლოდ ალტმანიც დაგვიბრუნდება და ალბათ ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ოსკარ ტაბარესი მეცხრე ცდაზე

**დღევანდელი** შეხვედრის წინ ურუგვაის ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ „ეროვნულზე“ ბოლოჯერ ივარჯიშა.

სამხრეთამერიკელები მოედანზე სამხრეთული მხიარულებით გამოვიდნენ და ვარჯიშის ბოლომდე ხალისიანად ივარჯიშეს. მსუბუქი გასახურებელი ვარჯიშების შემდეგ ოსკარ ტაბარესმა გუნდი ორ ნაწილად გაჰყო — „ძირითადებად“ და „სათადარიგოებად“. თუმცა ორივეს ერთდაიგივე ვარჯიში დაავალა — ფლანგებიდან მაღალი ჩაწოდებები და კარში დარტყმა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ „ძირითადებმა“ სტანდარტული სიტუაციების რამდენიმე ვარიანტი დაამუშავეს, რომელიც ძირითადად დიეგო ფორლანზე იყო გათვლილი. ურუგვაელებმა ამ კომპონენტში მაინცდამაინც ვერ ივარგეს, თუმცა ეს მხოლოდ ვარჯიშზე: როგორ შეასრულებენ მწვრთნელის დავალებას თამაშისას, დღეს გამოჩნდება. ამ ფაქტზე ალბათ ყურადღებას კლაუს ტოპმიოლერიც გაამახვილებს, რომელიც გულმოდგინედ ადევნებდა თვალს მეტოქის ვარჯიშს.

სტანდარტულების დამუშავების შემდეგ ტაბარესმა მოულოდნელად დიეგო ფორლანი „ძირითადებიდან“ „სათადარიგოებში“ გადაისროლა და ორკარა გააჩაღა. ამ დროს გამოჩნდა ურუგვაელთა მაღალი ტექნიკური შესაძლებლობები — როგორც სამხრეთამერიკელებს სჩვევიათ, ჩვენი დღევანდელი მეტოქე უზადო ტექნიკით გამოირჩევა. განსაკუთრებით გუსტავო ვარელა, ერნესტო კანობიო და ფაბიენ ესტოიანოფი.

ვარჯიშის შემდეგ *ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა*, იმის მიუხედავად, რომ ძალიან ჩქარობდა, რამდენიმე წუთით მაინც დაგვითმო...

„გუნდი უკვე სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ვისაც ველოდით, ყველა აქ არის. ყველა ჯანმრთელადაა. ასე რომ, ხვალინდელი შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ... თამაშის შედეგს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ურუგვაის ნაკრები ახლა მოსამზადებელ პროცესს გადის, ჩემი ხელმძღვანელობით მხოლოდ მეცხრე შეხვედრას ატარებს, ამიტომ მთავარი მიზანი მაინც ფეხბურთელების შეთამაშება და გამოცდა იქნება...

...ქართულ ფეხბურთზე ზოგადი წარმოდგენა მაქვს. ვიცი, რომ თქვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობა რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში თამაშობს. ერთადერთი, ვისაც ვიცნობ, კახა კალაძეა...

...აქაური კლიმატი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ურუგვაიში, ამ მხრივ პრობლემა არ გვექნება... ქართველები ძალიან სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილხართ, რაღაცით ვგავართ კიდეც ერთმანეთს“ — გვითხრა ტაბარესმა.

საქართველო — ურუგვაი „ეროვნულზე“ დღეს, 21 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




# გიორგი შაშიაშვილი: თქვას ტოპმიოლერმა და გავაკეთებ

ოდესის „ჩერნომორეცში“ მოთამაშე გიორგი შაშიაშვილი კლაუს ტოპმიოლერმა საურუგვაიოდაც გამოიძახა და იტალიასთან ულამაზესი გოლის გამტანი მცველი ნაკრებთან ერთად ემზადება დღევანდელი მატჩისთვის.

გიორგის ვარჯიშის შემდეგ გამოველაპარაკეთ...



— **რისი თქმა შეგიძლია ურუგვაელებზე?**

— ვიცი, რომ უძლიერესი შემადგენლობა ჰყავთ. რაც უნდა იყოს, ჩვენი მეტოქე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. ურუგვაელებს საკმაოდ ძლიერი ლეგიონერები ჰყავთ და საკმაოდ ძლიერი გუნდია.

— **რას ელი ამ მატჩისგან?**

— ჩვენთვის ყველა თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ნაკრებში თამაში დიდი პატივია და მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

— **მატჩისწინა განწყობა როგორია?**

— ყველანი მზად ვართ თამაშისთვის და უკან დახევას არ ვაპირებთ.

— **დაცვის ცენტრში გირჩევნია თამაში თუ ფლანგზე?**

— თბილისის „დინამოში“ ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი. მარჯვენა ფლანგზე თამაშიც შემიძლია. თუმცა სად ვითამაშებ ურუგვაისთან, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მზად ვარ, ტოპმიოლერის ნებისმიერი დავალება შევასრულო.

— **„ჩერნომორეცზეც“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა...**

— გუნდში კარგი პირობებია. საპრიზო ადგილის დაკავება დაგვისახეს მიზნად და საამისოდ არცთუ ურიგო შანსები გვაქვს. ვფიქრობ, ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა.

— **ოდესელთა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდი. კლუბის გამოცვლაზე ხომ არ გიფიქრია?**

— „ჩერნომორეცთან“ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს და წინასწარ ვერაფერს ვიტყვი... ყოველ შემთხვევაში, ახლა წასვლაზე ნაღდად არ ვფიქრობ.

**სალომე ხარატიშვილი**



ორნახევარი წლის წინ, როცა თბილისის „დინამოსა" და ივო შუშაკის გზები გაიყარა, გამოსამშვიდობებელ საღამოზე ხორვატმა მწვრთნელმა თქვა: „ივო შუშაკმა საქართველოში სამუშაო დაამთავრა, თორემ მეგობრობა გაგრძელდება. თბილისში კიდევ ჩამოვალ, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით". ხორვატმა საქართველოს სადღეგრძელო შესვა და მერე საათს დახედა. სწორედ იმ წუთებში დაიწყო ივო შუშაკისა და ბევრი ქართველის სამსახურს მიღმა მეგობრობა, რომელიც დღემდე გრძელდება და ალბათ არც არასდროს დამთავრდება. ის ყვითელსამაჯურიანი საათი რატომღაც კარგად დაგვამახსოვრდა.

გალინა [illegible] ფოტო

# შუშაკის ორი დრო

## ივო ხორვატიაში პირველი თამადაა

ახლა ივო შუშაკი ისევ თბილისშია და ისევ იმ ყვითელსამაჯურიანი „როლექსით". მას გუშინ შევხვდით და ვიდრე ინტერვიუს დავიწყებდით, სწორედ იმ საათზე მივანიშნეთ, რომელიც მაშინდელი საღამოს შემდეგ ივო შუშაკისთვის „თბილისის დროით" მუშაობს...

— „დინამოს" პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის ნაჩუქარია. როცა თბილისიდან მივდიოდი, სადილზე დამპატიჟა და საათიც სწორედ მაშინ მაჩუქა. შინ კიდევ ხუთი „როლექსი" მაქვს, მაგრამ ეს ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია და წასვლის შემდეგ სულ ეს მიკეთია. ბადრი პატარკაციშვილმა საათი ადრეც მაჩუქა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის სხვა ნივთებთან ერთად მომპარეს, ხორვატიაში მანქანა გამიტეხეს და ჩანთა წაიღეს — გვიყვება ივო შუშაკი — სხვათა შორის, როცა პატარკაციშვილმა დაბადების დღეზე ეს საათი მაჩუქა, მაშინვე მითხრა, მთავარი საჩუქარი წინ გელისო. არ ვიცოდი და, ბატონ ბადრის ხორვატიაში ჩემი მეუღლისთვის დაურეკავს, თვითმფრინავს გამოგიგზავნით და თქვენ და თქვენი ოჯახის ახლობლები ივოს დაბადების დღეზე ჩამოდითო. სამწუხაროდ, ეს სიურპრიზი არ გამოვიდა, მეუღლეს თვითმფრინავის შიში აქვს და ველარ წამოვიდა, თუმცა კლუბის პრეზიდენტის ასეთი ჟესტით განცვიფრებული დარჩა. მოგვიანებით ეს ამბავი ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვუამბე. მან კი ჟურნალისტებს უთხრა, კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს ასეთი ურთიერთობა ჰქონდეთ, ჯერ არ გამეგონაო. არ ვიცი, ბადრი პატარკაციშვილი ახლა თბილისშია თუ არა, მაგრამ ძალიან მსურს მისი ნახვა.

*ივო შუშაკს აშკარად ეტყობოდა და საუბარ-საუბარში არც დაუმალავს, რომ საქართველოში ყოფნა ძალიან სიამოვნებს. მწვრთნელი საათსაც ხშირად დასცქეროდა...*

— „დინამოდან" წასვლის შემდეგ ოთხჯერ ჩამოვედი, მაგრამ არცერთხელ საქმიანი ვიზიტით. აქ ბევრი მეგობარი მყავს, ყოველთვის მსიამოვნებს მათთან შეხვედრა და საუბარი. კვირა არ გაივლის, თბილისში არ დავრეკო, მეგობრების ამბავი მაინტერესებს. ახლა თავისუფალი დრო მაქვს და ჩამოვედი, არ უნდა ჩამოვსულიყავი?! — იკითხა ივო შუშაკმა და თავადვე უპასუხა — ივო შუშაკს სიამოვნებს საქართველოში ყოფნა და ვგრძნობ, რომ ქართველებსაც სიამოვნებთ ჩემთან ურთიერთობა. როგორც თავად ვფიქრობ, რომ ქართული ფეხბურთისთვის რაღაც გავაკეთე, ისევე ვფიქრობ, რომ ჩემთვის საქართველომაც ბევრი გააკეთა. აქ ყოფნისას ქართული ცხოვრებით ვცხოვრობდი და ეს მსიამოვნებდა. როგორც სახლში, ისე ვგრძნობდი თავს და, როცა თბილისში მოვდივარ, ყოველთვის მგონია, რომ სახლში მოვდივარ. აი, ამიტომ ჩამოვდივარ ხოლმე თბილისში და, მგონი, ეს ძალიან კარგია.

*მწვრთნელმა ყვითელსამაჯურიან საათს ერთხელაც დახედა და, როგორც ყოველთვის, ტაქტიანადვე განაგრძო...*

— არა, ნუ იფიქრებთ, რომ სადმე მეჩქარება. იცით, რაც ჩამოვედი, ყველა მეგობრის ნახვა ვერ მოვასწარი. ამ საღამოს კი რესტორანში ვარ დაპატიჟებული და მეგობრებსაც იქ შევხვდები. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ მათ, ამიტომაც დავცქერი საათს, როდის მოსაღამოვდება...

*სასტუმროს ნომრიდან ივო შუშაკმა ცას გახედა, საღამომდე ადრე იყო... ჯერ არც „დინამოს" ბაზაზე ყოფილხართ — ვკითხეთ ბატონ ივოს...*

— ამას არც ვაპირებ. უხერხულია იქ მისვლა, რადგანაც „დინამოს" მწვრთნელი ჰყავს. სამაგიეროდ კი, გუშინ ირაკლი მეძმარიაშვილმა „ეროვნული" დამათვალიერებინა, გაკვირვებულმა შემოვიარე მთელი სტადიონი. ეს თანამედროვე ევროპული დონის არენაა.

*ერთი ახალი ამბავიც: ივო შუშაკს „ოსიეკის" მწვრთნელის პოსტი დაუტოვებია და ახლა თავისუფალია...*

— „ოსიეკი" იმის გამო არ დამიტოვებია, რომ სხვა გუნდიდან უკეთესი წინადადება მაქვს ან სადმე მეტ ფულს მთავაზობდნენ. „ოსიეკში" სხვანაირად რომ არ ეფიქრათ, გადავწყვიტე, ახალ წლამდე არსად ვიმუშაო. თბილისში წამოსვლამდე კი ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ იაპონურ, ჩინურ, კორეულ და რუსულ კლუბებს გამოუჩენიათ ჩემ მიმართ ინტერესი, თუმცა სერიოზული წინადადება ჯერ არავისგან მიმიღია.

*ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ივო შუშაკმა ერთი საინტერესო და სახალისოც გვიამბო...*

— როცა თავისუფალი ვარ, ოჯახში ხშირად ვქეიფობთ ხოლმე და თამადა სულ მე ვარ. ჩვენთან ხომ სადღეგრძელოებს არ ამბობენ, თანამოსუფრეები კი მთხოვენ, მაგიდის თავში დავჯდე და სუფრას ქართულად გავუძღვე. ჩემმა ოჯახმა თავისთავად, მეგობრებმა, ჟურნალისტებმა და ყველამ, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, საქართველოზე ბევრი იციან. ახლაც, როცა დავბრუნდები, მომაყოლებენ აქაურ ამბებს. ხორვატიაში საქართველოს საპატიო კონსულობა რომ შემომთავაზონ, ამ წინადადებას უყოყმანოდ მივიღებ. ბოლო დროს საქართველო-ხორვატიას შორის ჟურნალისტებმა ბევრი პარალელი იპოვეს. უახლესი ისტორია ხორვატიას და საქართველოს ერთნაირი აქვთ. თავიდან ქვეყნის სამ რეგიონს ვერც ხორვატია აკონტროლებდა, 1991 წლის შემდეგ ჩემს აგარაკზე, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე პირველად ჩასვლა 1995 წელს მოვახერხე. ხორვატიაში ძალიან სწყინთ, როცა საქართველო-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობის ამბავი ლამის ყოველდღიურად ესმით. ხორვატიას საქართველოს უდიდესი სიმპათია აქვს, ვინაიდან, რაც ახლა აქ ხდება, ხორვატიამ უკვე გაიარა. რას ფიქრობს ამ კონფლიქტზე ივო შუშაკი ხომ ისედაც ცხადია — მე მიყვარს საქართველო! ვისურვებ, რომ საქართველოსა და ხორვატიას შორის სავიზო რეჟიმი გაუქმდეს და საბუთების მოსკოვში გაფორმება აღარ დაგვჭირდეს...

*ხორვატია-საქართველოს მსგავსებაზე და სხვა ამგვარ თემებზე ივო შუშაკთან კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ, მწვრთნელი საკმაოდ ემოციურად იხსენებდა ძველ ამბებს, ყოველი წინადადების ბოლოს კი ისევ და ისევ საქართველოსა და მის მეგობრებს უბრუნდებოდა. რა თქმა უნდა, დიდი მწუხარებით იხსენებდა გივი ნოდიას, საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მის ძმაკაცს...*

*დღეს ივო შუშაკი საქართველო — ურუგვაის ამხანაგურ მატჩს დაესწრება და, როგორც თავად თქვა, ძალიან სურს, ამ თამაშის შემდეგ შინ კმაყოფილი დაბრუნდეს. თუმცა იქამდე ის ალალად გულნატკენი, თანაც გაკვირვებული ამბობს...*

— ტალანტებით საქართველო არც ხორვატიას ჩამორჩება და არც სერბეთს, თუ არ აღემატება კიდეც. ჩემთვის დღემდე გამოცანაა, ძალიან საკვირველია და არანორმალურია ის ფაქტი, რომ ამდენი ხანია, არც ქართულ კლუბებს, არც ქვეყნის ნაკრებს სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. კლუბების წარუმატებლობა კიდევ გასაგებია, მათ ინფრასტრუქტურა არ უვარგათ, ქომაგები კი შედეგს ახალი მწვრთნელის დანიშვნისთანავე ითხოვენ. არადა, ერთი შემადგენლობით, სულ მცირე, სამი სეზონი მაინც უნდა ითამაშო, რათა შედეგი მიიღო. გაიხსენეთ, ჩემი ხელმძღვანელობით „დინამომ" მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოიგო ესენგეს თასი. საქართველოში როგორც კი ვინმე ნიჭიერი გამოჩნდება, მაშინვე უცხოეთში მიჰყავთ, ხან ფეხბურთელის მამას, ხანაც ნაირნაირ აგენტებს მიაჩნიათ, რომ ამ ბიჭის ადგილი საქართველოს ჩემპიონატში აღარ არის. აი, ნაკრები კი...

*აქ ივო შუშაკი კარგა ხანს ჩაფიქრდა და...*

— ეს უკვე ჩემთვის აუხსნელია და არც მაქვს სურვილი, ნაკრების წარუმატებლობა ავხსნა. ხორვატიას საქართველოზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს? არა! ჩამოვთვალოთ: კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, ასათიანი, არველაძე — ამათ ევროპის უძლიერეს გუნდებში შეუძლიათ თამაში, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები არიან. ხორვატიის ნაკრებში კი ძმები კოვაჩები და შიმუნიჩი თამაშობენ ასეთ დონეზე. თანაც, შიმუნიჩი ვარსკვლავად არ მიმაჩნია, კარგი ფეხბურთელია. რაშია საქმე? ხორვატიამ დამოუკიდებლობის შემდეგ სამჯერ მსოფლიოს და ორჯერ ევროპის ჩემპიონატებზე ითამაშა, საქართველომ ვერც ერთხელ. მესმის, რომ ყოველთვის არ გაგიმართლებს, მაგრამ ერთხელ მაინც ხომ შეიძლებოდა, საქართველო ასეთ შედეგთან ახლოს მაინც ყოფილიყო? სწორად გამიგეთ, ამას ნიშნისმოგებით არ ვამბობ, გული მწყდება, რომ საქართველოს ნაკრებს, უდიდესი პოტენციის მიუხედავად, კარგი შედეგი არ აქვს.

*და მაინც, რით ახსნის საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რანგში რუსეთის დამმარცხებელი ხორვატი ჩვენი ეროვნული გუნდის წარუმატებლობას?*

*ივო შუშაკის პასუხი ასეთია:*

— ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს ოპტიმიზმი აკლია. გამაგებინეთ, როგორ მოუგო ხორვატიამ იტალიას, ინგლისს, როგორ თამაშობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე და რატომ ვერ ახერხებს ამას კალაძე და კობიაშვილი. ათასჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ერთ სერიოზულ სანაკრებო მატჩში წარმატება ფეხბურთელისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლუბში ასი ასეთი მატჩის მოგება. ატმოსფერო არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუ ფეხბურთელი არ ენდობა მწვრთნელს, არ ენდობა ფედერაციის პრეზიდენტს, არ არის შეკრული გუნდი, არაფერი გამოვა. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან ფეხბურთში ყველაზე სუსტები სლოვენია და მაკედონია იყვნენ. მაკედონიაში სულ ორი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. სლოვენიამ ევროპის ჩემპიონატზე შეძლო მოხვედრა, მაკედონია კი შედეგებს დღითიდღე აუმჯობესებს, არადა, ამ ქვეყნებში ერთი-ორი მაღალი დონის ფეხბურთელი თუა. კარგად მესმის, რომ საქართველო ახლა უძლიერეს შესარჩევ ჯგუფში მოხვდა და წარმატების შანსი ობიექტურად ნულის ტოლია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელებმა ისე უნდა ითამაშონ, თითქოს ყოველი შეხვედრა გადამწყვეტია და სწორედ ამ მატჩების შემდეგ გამოჩნდება, ვინ რა შეუძლია. ბედნიერი ვიქნები, ურუგვაისთან საქართველოს ნაკრების ასეთ შემართებას თუ დავინახავ და ღმერთს ვთხოვ, რომ ქართველებმა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ითამაშონ.

*და კიდევ, საქართველო — რუსეთის დაუვიწყარი მატჩი. როგორ შეიძლება, ივო შუშაკს ესაუბრო და იმ შეხვედრაზე, მაშინდელ ემოციებზე არ ჰკითხო...*

— საქართველოში მუშაობისას, რა თქმა უნდა, რუსეთის დამარცხება იყო ჩემთვის ყველაზე დიდი წარმატება. იცით, ქართველი ხალხის სიხარულის გასაზიარებლად მთელი ღამე დამჭირდა. იმ მატჩის შემდეგ პირდაპირ ტელევიზიაში მომიწვიეს, შემდეგ ბადრი პატარკაციშვილმა დამპატიჟა და არ ვიცოდი, რა ხდებოდა ქალაქში, ქვეყანაში. მეორე დილით კი ცხონებულმა გივი ნოდიამ გაზეთები მაჩვენა და... კანკალმა ამიტანა, გული ამიჩქარდა, ადგილს ვერ ვპოულობდი. აი, მაშინ მივხვდი, რა ბედნიერი იყო საქართველო იმ საღამოს. მაშინ დავრწმუნდი, რას ნიშნავს ერთი დიდი მატჩის მოგება. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატიის მოპოვებული ბრინჯაოს შემდეგ ზაგრებში დიდი ზეიმი დაგვხვდა. როცა ჩემმა გაწვრთნილმა ხორვატიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სერბ თანატოლებთან ისტორიაში პირველი შეხვედრა გამართა და ბელგრადში 6:2 მოვიგეთ, ხორვატიისთვის ეს ამბავიც ძალიან სასიხარულო იყო, მაგრამ საქართველო — რუსეთი... ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოსთვის სულ მცირე სიხარულიც უდიდესი სიხარულია, საფეხბურთო წარმატებით კი მთელი ერი იამაყებს. რაც საქართველო — რუსეთის მატჩის შემდეგ ვნახე, ისეთი ემოცია, ისეთი განცდა არასდროს მინახავს.

*...ივო შუშაკმა ერთხელაც დახედა ყვითელსამაჯურიან საათს. მეგობრებთან შეხვედრის დრო ახლოვდებოდა. მისი საათი საქართველოდან წასვლის შემდეგ ისევ „თბილისის დროს" უჩვენებს...*

**ბოზა ინასარიძე**

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის საგანგებო სხდომა გაიმართა. საგანგებო იმიტომ, რომ ერთი და იმავე ფაქტზე კომიტეტმა ხელმეორედ იმსჯელა და დამატებითი ვერდიქტებიც გამოიტანა. სხდომის შემდეგ პრესკონფერენცია მოეწყო, რომელზეც ჟურნალისტების წინაშე კომიტეტის წევრების გარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილიც წარსდგნენ...




# გურია — მესხეთი ფირით გაგრძელდა

## ლანჩხუთელები მათივე პრეზიდენტმა ამოიცნო

*ტატო ლასხიშვილი, სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე:* პირველი ლიგის „გურია" — „მესხეთის" მატჩზე მომხდარ ექსცესებს ხელმეორედ იმიტომ მივუბრუნდით, რომ ამ თამაშის ფირი მოვიპოვეთ. ფირის შესწავლის შემდეგ კი ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: „მესხეთის" ფეხბურთელი ოთარ მგელაძე 250 ლარით დაჯარიმდება და ოთხ თამაშს გამოტოვებს; იგივე სასჯელი დაეკისრა „გურიას" ოთხ ფეხბურთელს — ირაკლი ფაცურიას, გიორგი ჩხაიძეს, ვახტანგ კვაჭაძეს და ზურაბ პატარაიას, ხოლო „გურიას" მთავარი მწვრთნელი თეიმურაზ ლორია სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია და 1000 ლარის გადახდაც მოუწევს. შეგახსენებთ, ადრინდელი გადაწყვეტილებით, „გურიას" და „მესხეთის" ფეხბურთელები, ალექსანდრე იმნაიშვილი და გიორგი ბერიანიძე 4-4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და 250-250 ლარით დავსაჯეთ და „გურიას" 0:3 წაგება ჩაეთვალა. ხელმეორე გადაწყვეტილებით, „გურია" მომდევნო ხუთ საშინაო მატჩს საკუთარ სტადიონზე ვერ ითამაშებს. თუ კიდევ განმეორდება მსგავსი ფაქტი, წინადადებით მივმართავთ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს, რათა „გურია" მოიხსნას ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშებიდან. აქვე მადლობას ვუხდით ტელეკომპანია „იმედს" ამ ფირის მოწოდებისთვის.

*ნოდარ ახალკაცი:* მივესალმები, რომ ფირის მოპოვების შემდეგ სადისციპლინო კომიტეტი ამ საქმის განხილვას დაუბრუნდა. მეორე წრიდან პირველი ლიგის გუნდებსაც მივმართავთ, საშინაო მატჩები ვიდეოფირზე აღბეჭდონ. შევქმენით TASK FORCE — ასეთი კომიტეტი ფიფაშიც არსებობს. TASK FORCE-ში შევლენ „დინამოს" მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე, „ამერის" პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე, დიმიტრი რამიშვილი და მე. ეს სამუშაო ჯგუფი ძალადობის საკითხებზე იმუშავებს, რათა პრევენციული ზომები იქნას მიღებული, რომ ძალადობის ასეთი ფაქტები აღარ განმეორდეს. თუ მსგავსი კიდევ განმეორდება, უკიდურეს ზომებს მივიღებთ. ქართული ფეხბურთი სამაგალითო უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

*თემურ ღლონტი(?), სადისციპლინო კომიტეტის წევრი:* უნდა აღინიშნოს, რომ ფირზე ლანჩხუთელების ამოცნობაში „გურიას" პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე დაგვეხმარა, რითაც მან სწორი პოზიცია დაიკავა „გურიასთვისაც" და საერთოდ ფეხბურთისთვისაც.

— ადრე არსებული სამი ქულის დაკლების წესის ამოქმედებას ხომ არ აპირებთ?

*ნოდარ ახალკაცი:* შესაძლოა, ეს საკითხი განვიხილოთ. „გურია" — „მესხეთის" მატჩში სიტუაცია დაწყნარებული რომ იყო, მწვრთნელის აქტიური მონაწილეობით ვითარება ისევ გამწვავდა — ეს ერთობ არასასიამოვნო ფაქტია.

*დიმიტრი რამიშვილი:* იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, თუ რის გამო ხდება ძალადობა მატჩებზე. ვფიქრობ, კლუბებში სათანადო დონეზე არ არის დაყენებული დისციპლინა. ამასთან დაკავშირებით კლუბებისთვის სემინარებს მოვაწყობთ.

*ზურაბ პეტრიაშვილი, სადისციპლინო კომიტეტის წევრი:* როცა „სიონის" მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე დავსაჯეთ, პრესაში ტალღა აგორდა, ვითომდა არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. არადა, ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ — ეს ცხადაძის მერვე შემთხვევა იყო და არა პირველი. ერთ-ერთმა გაზეთმა კი დანაშაულებრივად ლმობიერები გვიწოდა. ერთი სიტყვით, არავის მივცემთ უფლებას, უსაფუძვლოდ გაგვაკრიტიკონ.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველო და 5 დეკემბერი,

# ელიტარული კენჭები

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების ევრო 2007-ის საელიტრაუნდო მეტოქეები 5 დეკემბერს გაირკვევა. ნიონში გასამართ კენჭისყრაზე 28 ნაკრები შვიდ ოთხგუნდა ჯგუფად განაწილდება, საიდანაც მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ — ფინალურ ეტაპზე კი ამ შვიდეულს მასპინძელი ავსტრია დაემატება. ელიტ-რაუნდი მაისში, ფინალური ეტაპი კი ივლისში გაიმართება.

გეხსომებათ, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა: რუმინეთ-ჩრდილოეთ ირლანდია-ბელგიის კამპანიაში მეორე ადგილი დაიკავა. 5 დეკემბრის კენჭისყრაზე ქართველების ჯგუფში ორი ისეთი გუნდი მოხვდება, რომლებმაც პირველ საკვალიფიკაციოზე ჯგუფში პირველობა მოიპოვეს.

ხსენებული 28 ნაკრებიდან სამმა (ესპანეთი, იტალია, ინგლისი) საკვალიფიკაციო ეტაპი გამოტოვა — ესპანეთი მოქმედი ჩემპიონია, ინგლისი და იტალია კი რეიტინგში მეორე-მესამე ადგილებზე არიან.

ელიტ-რაუნდში ეს გუნდები ითამაშებენ: ესპანეთი, იტალია, ინგლისი, საბერძნეთი, ბულგარეთი, ისრაელი, შვეიცარია, ირლანდია, ჰოლანდია, რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, შვედეთი, ისლანდია, უნგრეთი, აზერბაიჯანი, საფრანგეთი, დანია, შოტლანდია, გერმანია, თურქეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, პორტუგალია, სერბეთი, ხორვატია.

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

### I წრე. 15 ტური.

სპარტაკი 0:1 გაგრა
მგლები 4:1 ჩიხურა 2
ვიტ ჯორჯია 2 1:2 ამერი 2
გურია 1:1 რაჭა
მეშაქრე 2:0 ზესტაფონი 2
ოლიმპი 0:0 მესხეთი
მეშახტე 3:1 ნ. დინამოელი
სამტრედია 1:0 მერცხალი
მალაროელი 1:1 დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 15 | 12 | 2 | 1 | 28:8 | 38 |
| მესხეთი | 15 | 9 | 4 | 2 | 27:9 | 31 |
| მეშაქრე | 15 | 8 | 5 | 2 | 20:12 | 29 |
| გაგრა | 15 | 8 | 2 | 5 | 22:16 | 26 |
| ოლიმპი (თბ) | 15 | 7 | 3 | 5 | 29:18 | 24 |
| ნ. დინამოელი | 15 | 7 | 2 | 6 | 22:19 | 23 |
| მეშახტე | 15 | 7 | 2 | 6 | 22:20 | 23 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 6 | 4 | 5 | 25:12 | 22 |
| ჩიხურა 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 17:18 | 21 |
| ამერი 2 | 15 | 5 | 5 | 5 | 21:19 | 20 |
| ზესტაფონი 2 | 15 | 5 | 5 | 5 | 15:14 | 20 |
| დინამო 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 23:16 | 19 |
| მალაროელი | 15 | 4 | 7 | 4 | 18:17 | 19 |
| სპარტაკი | 15 | 4 | 3 | 8 | 9:21 | 15 |
| სამტრედია | 15 | 3 | 5 | 7 | 17:28 | 14 |
| რაჭა | 15 | 2 | 4 | 9 | 12:30 | 10 |
| მერცხალი | 15 | 2 | 3 | 10 | 13:36 | 9 |
| გურია | 15 | 2 | 3 | 10 | 13:37 | 9 |

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



# ნესტა ჩაოზე დაფიქრდა

**გაზაფხულზე** მიღებული ტრავმა ალესანდრო ნესტასთვის საბედისწერო გამოდგა — „მილანის" მცველი კი თამაშობს, მაგრამ ერთ ჩვეულებრივ ფეხბურთელად იქცა, იშვიათადღა გვევლინება თავდამსხმელების რისხვად. იტალიის ნაკრების დაცვის ცენტრშიც კარგა ხანია, ფაბიო კანავარომ და მარკო მატერაციმ მოიპოვეს მონოპოლია, ნესტა კი სათადარიგოდ იქცა.

ჰოდა, ალესანდროც სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრობს — ეს ინფორმაცია მისმა მეგობრებმა გაავრცელეს და თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა: „ყოველთვის ვეღარ შეინარჩუნებ ძალას, დატვირთული გრაფიკი ამის საშუალებას არ მაძლევს. მგონი, დროა, „აზურის" დავემშვიდობო."

30 წლის მცველი სერია A-ს ბოლო მატჩებშიც ძალიან აჭრილია: ამას წინათ ფრანჩესკო ტოტიმ სწორედ მისი შეცდომით ისარგებლა, რითაც „რომას" მილანში მოაგებინა. ერთი თვის წინ კი ნესტამ ასევე ბავშვური შეცდომა დაუშვა „პალერმოსთან" წაგებულ შეხვედრაში.

ასე რომ, გაისად საქართველოს ნაკრები იტალიაში რომ ჩავა, ნესტა უკვე სანაკრებო პენსიაში უნდა იყოს.

**ილია ნანობაშვილი**

# იგუანის უარი ისტორიულ სამშობლოს

**დღეს** საფრანგეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩში საბერძნეთს ეთამაშება და საამმატჩოდ რაიმონ დომენეკმა არგენტინული „რივერ პლეიტის" 18 წლის ნახევარმცველი გონსალო იგუანიც მიიწვია. იგუანი საფრანგეთში დაბადებულია, თუმცა ათი თვის იყო, მშობლები საცხოვრებლად არგენტინაში რომ გადავიდნენ და ამ ქვეყნის მოქალაქეები გახდნენ.

მოკლედ, ფრანგებმა იგუანის დაგულება გადაწყვიტეს და...

„საფრანგეთის ნაკრებში ვერ ვითამაშებ" — უთხრა გუშინ ჟურნალისტებს ახალგაზრდა ფეხბურთელმა და მთელი საფრანგეთი გააოცა.

იგუანის თქმით, ის ჯერ არ არის მზად ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად: „იმედი მაქვს, არავის ეწყინება, მაგრამ ახლა საფრანგეთის ნაკრების ფორმაში ჩემი თავი მართლა ვერ წარმომიდგენია".

**კახა შალამბერიძე**



# მარსელო მეთვრამეტე

## რეალისთვის ფუ ფლუს

მარსელო, იგივე მარსელო ვიეირა და სილვა ჟუნიორი, 18 წლის მარცხენა მცველი რომელიც აქამდე „ფლუმინენსეს" საკუთრება იყო, ორშაბათიდან მადრიდის „რეალის" ახალ ფეხბურთელად იქცა. ბრაზილიის ნაკრებში რობერტო კარლოსის მემკვიდრედ აღიარებულმა ჭაბუკმა „სამეფო კლუბში" მოხვედრის ოცნება სასტუმრო „მირასიერა სუიტესში" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აისრულა. კონტრაქტის გაფორმებას ფეხბურთელის მამა, „ფლუმენენსეს" პრეზიდენტი და მადრიდის „რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ესწრებოდნენ

**ბრაზილიელს** „ბერნაბეუზე" მოხვედრა გულით უნდოდა. ერთი კვირის წინ მის ხელში ჩაგდებაზე ესპანური „სევილია" ფრანგული „ლიონი" და ლონდონის „ჩელსი" ერთმანეთს კალთებს ახევდნენ, თუმცა ახალგაზრდა მობურთალმა მამას ასე განუცხადა: „ფლუმენენსეს" მხოლოდ მადრიდის „რეალის" გულისთვის თუ დავტოვებ".

ესპანური მედია აცხადებს, რომ მარსელო თანამემამულეების, რობერტო კარლოსისა და რობინიოს სიტყვებმა მოხიბლა. ამ ორს მჭერმეტყველების დიდი ნიჭი აღმოაჩნდათ და უმცროს მეგობარს „რეალზე" და მადრიდზე იმდენი კარგი უთხრეს, რომ აღფრთოვანებულმა ბიჭმაც მიზნად მხოლოდ სამეფო გუნდში თამაში დაისახა.

„ფლუმენსესე" მარსელოს სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს მიიღებს. აქედან 3 მილიონს დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენ სამს კი 2007 წლის ივნიში. „რეალმა" ახალწვეულს სერხიო რამოსის მსგავსი გრძელვადიანი კონტრაქტი გაუფორმა — ბრაზილიელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" 2013 წლამდე დარჩება.

მარსელოს „რეალის" ფეხბურთელად მადრიდულ არენაზე ოფიციალურად დღეს წარადგენენ. ახალგაზრდა მოთამაშე რა ნომრით იბურთავებს, ჯერჯერობით გაურკვეველია. მედიის ცნობით, ახალწვეულ ბრაზილიელს იანვრიდან ივნისამდე „რეალის" მეორე გუნდში გააგზავნიან. ამის მიზეზი კი მარტივია, იანვარში „ბერნაბეუზე" არგენტინელი ფერნანდო გაგო უნდა ჩავიდეს და არაევროკავშირელთა ლიმიტს შეავსებს. გაგო წარმოშობით იტალიელია, მაგრამ ორმაგ მოქალაქეობას სავარაუდოდ, თებერვლამდე ან მარტამდე ვერ მიიღებს.

„ფლუმენენსეს" აწ უკვე ყოფილი უკანახაზელი „რეალ კასტილიაში" ბურთაობის დაწყებით უკმაყოფილო არ გახლავთ — ოკეანისგაღმელი ასე ევროპულ ფეხბურთს და ესპანურ გარემოს უფრო შეეჩვევა და ძირითად გუნდში გადასვლისას ადაპტაციის პრობლემა არ ექნება. მარსელო ძირითად გუნდს გითხარით, 2007 წლის 1 ივლისს შეუერთდება. „რეალ კასტილიას" თავკაცებს კი წესით სეგუნდადივიზიონის კლუბში ბრაზილიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრის მიღება უნდა გაუხარდეთ. „რეალის" სათადარიგო გუნდს მარცხენა მცველი დანი გილენი დაშავებული ჰყავს და მის პოზიციაზე დღემდე ამპლუით მარჯვენა უკანახაზელ ტორესს ათამაშებენ. „ალფრედო დი სტეფანოს" არენაზე მარსელოს მისვლის შემდეგ ეს ვითარება შეიცვლება.

ასე და ამგვარად, რობერტო კარლოსისა და რობინიოს მეგობარი „რეალის" ისტორიაში რიგით მეთვრამეტე ბრაზილიელი ფეხბურთელია. მარსელომდე მადრიდულ გრანდში გუდიჩელი (1935-1936), დიდი (1959-1960), კანარიო (1959-1962), ევარისტო (1962-1964), როჩა (1991-1993), ვიტორი (1993-1994), ზე რობერტო (1996-1998), რობერტო კარლოსი (1996-?), სავიო (1997-2002), როდრიგო (1998-2003), ჟულიო სეზარი (1999-2001), ფლავიო კონსეისაო (2000-2004), რონალდო (2002-?), ჟულიო ბაპტისტა (2005-2006), რობინიო (2005-?), სისინიო (2006-?), და ემერსონი (2006-?) მოვიდნენ.

**ლადო ხომერიკი**

# გენერლობაზე მეოცნებე

## გვარდიოლას მწვრთნელობაც წარმატებული უნდა

**ხოსეპ გვარდიოლამ** დაადასტურა, რომ სათამაშო კარიერის დასრულება და სამწვრთნელო საქმიანობაში ჩაბმა გადაწყვიტა.



ესპანურ „რაკ-1"-თან ინტერვიუში 35 წლის ექსბარსელონელმა ვეტერანმა, რომლის ბოლო გუნდიც მექსიკური „დორადოსი" გახლდათ, ასე განაცხადა: „ფეხბურთელობისთვის საკმარისად ბებერი ვარ. ორგანიზმი დატვირთვას ველარ უძლებს, უკვე საკმარისად ვიბურთავე".

გვარდიოლა, რომელიც „ბარსელონას", „ბრეშას", „რომას", ყატარული „ალ აჰლისა" და მექსიკური „დორადოსის" ვარსკვლავი იყო, სამომავლოდ მწვრთნელობას აპირებს: „ადრე თუ გვიან, მწვრთნელი გავხდები" — ამბობს კატალონიელი.

ვეტერანი საქმიან შემოთავაზებებს ელოდება: „მწვრთნელად მუშაობა რომ დავიწყო, რომელიმე გუნდმა თავისი კარი უნდა გამიღოს. თანახმა ვიქნები, ახალგაზრდულ ან ბავშვთა გუნდებს ვუთავკაცო. უფრო მაღალი პრეტენზიები ჯერ არ მაქვს, საქმეში გამოუცდელი ვარ და პროფესიონალ მწვრთნელებთან გაჯიბრება, ჩემი მხრიდან, უცოდინრობა იქნება".

ხოსეპ გვარდიოლა, გეხსომებათ, კრუიფის დროინდელი „დრიმ თიმის" ერთ-ერთი ლიდერი იყო, გუნდისა, რომელმაც „ბარსას" ისტორიაში პირველი ჩემპიონთა თასი მოიგო. დღეს კი გვარდიოლა სამწვრთნელო საქმის ჯერჯერობით რიგით ჯარისკაცობას აპირებს.

„პირდაპირ გენერლად არავინ დამაწინაურებს, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, თუმცა იმედი მაქვს, რომ დამრიგებლობაში წარმატებებს მივაღწევ" — დასძინა ბოლოს ლეგენდარულმა მობურთალმა.

**ლადო ხომერიკი**

# კანისარესს რეინა თუ შეცვლის



**ამადეო კარბონი** სამომავლოდ „ვალენსიასთვის" მეკარის შეძენას აპირებს. „მესტალიაზე" სანტიაგო კანისარესთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ახლა მუშაობენ, სათადარიგო ბუტელეს ვალენსიური მომავალიც ჰარშია გამოკიდული, ხოლო მესამე მეკარე ხოსე ლუის მორა არც მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესს მოსწონს და არც გუნდის უფროსობას. სწორედ ამიტომაა, „ლამურათა" სპორტულმა დირექტორმა ახალი გოლკიპერის ყიდვაზე რომ დაიწყო ფიქრი.

იტალიელს საუკეთესო ვარიანტად პეპე რეინას ტრანსფერი მიუჩნევია. კარბონი თვლის, რომ „ლივერპულის" გოლკიპერი კანისარესს ძლიერ კონკურენციას გაუწევს, რის გამოც მოგებული „ვალენსია" დარჩება. მაგრამ რეინას ისევ ესპანურ პრიმერაში დაბრუნება ძნელი იქნება. მედიის ცნობით, ლივერპულელები „ვალენიას" მის სანაცვლოდ საკმაოდ მსუყე თანხას მოსთხოვენ.

ვალენსიელებს სასურველი მეკარის ხელში ჩაგდებაში რეინას ესპანეთში დაბრუნების სურვილი თუ დაეხმარება. ექსვილიარეალელს ინგლისში თამაშის გაგრძელება აღარ სურს და ამადეო კარბონისთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ პეპე რეინა „ლივერპულმა" „ვილიარეალიდან" 2005 წლის ზაფხულში 8,7 მილიონ ევროდ იყიდა.

**ლადო ხომერიკი**

# სონეტი ასკოლის

**იტალიური** „ასკოლის" ახალი მწვრთნელი ნედო სონეტია — გასულ კვირას „ემპოლისთან" საშინაო მარცხმა კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აუვსო და ატილიო ტესერი პოსტიდან დაითხოვეს. ასკოლელები ამჟამად ბოლოდან მეოთხე ადგილზე არიან და სერია A-დან გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ითვლებიან. გუნდს 11 მატჩიდან მხოლოდ 4 ქულა აქვს.



„ასკოლის" პრეზიდენტი რობერტო ბენინი აქამდე კი აცხადებდა, მწვრთნელი სეზონის ბოლომდე არ შეიცვლებაო, მაგრამ ტესერის გათავისუფლების შესახებ განცხადება სწორედ მან გააკეთა.

ატილიო ტესერი „ასკოლიში" 2006 წლის მაისში მივიდა, თუმცა „ტრიესტინასა" და „კალიარის" ყოფილი მწვრთნელის მუშაობა წარმატებული არ გამოდგა და როგორც უკვე ზემოთ გითხარით, იგი ნედო სონეტიმ შეცვალა. გამოცდილი სპეციალისტი „ასკოლის" ადრეც ედგა სათავეში. მან კლუბს 1990-91 წლების სეზონში სერია A-ს საგზური მოაპოვებინა. 65 წლის მწვრთნელი ბოლოს „კალიარიში" მუშაობდა.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

# დუნგა უჩვეულოს გვაჩვევს

## მისი ექსპერიმენტები ბრაზილიური სერიალივითაა



**შვეიცარია — ბრაზილია**

**ბრაზილიის** ეროვნული ნაკრები დღეს ბაზელში შვეიცარიას სტუმრობს. კარლოს დუნგა, რომლის პირველი მატჩები პენტაკამპეონთა თავკაცის რანგში ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა, ისევ ახალი ფეხბურთელებისა და არაერთი ტაქტიკის გამოცდას აპირებს.

დუნგამ ამჯერადაც არ უხმო ცუდ ფორმაში მყოფ ვარსკლავებს, რონალდოსა და ადრიანოს. „ბაიერნის“ მცველი ლუსიო ტრავმირებულია, რომელსაც ლაზარეთში ახლახან დაშავებული ედმილსონიც შეუერთდა, „ბარსელონას“ ნახევარმცველის ნაცვლად დუნგამ ნაკრებში დორტმუნდელი ტინგა გამოიძახა.

ამჯერადაც ნაკრებს მიღმა დარჩა მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდი ვაგნერ ლავი. სამაგიეროდ, მისი ორი თანაკლუბელი კვლავ მოხვდა დუნგას სიაში — დანიელ კარვალიუ და დუდუ კარენსე. გამოძახებულთა შორის არიან ესპანური „სევილიას“ მცველები დანიელ ალვეში და ადრიანუ კორეირა, ასევე დონეცკის „შახტარის“ შემტევი ნახევარმცველი ელანო, ამ სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე „ვერდერის“ პლეიმეიკერი დიეგო, „მილანის“ ფორვარდი რიკარდო ოლივეირა და „ბეტისის“ თავდამსხმელი რაფაელ სობისი.

ერთი სიტყვით, ყველა რომ არ ჩამოვთვალოთ, შესაძლოა, ვინმეს ბრაზილიის ნაკრები უჩვეულო ეჩვენოს, მაგრამ დუნგამ ამას უკვე მიგვაჩვია. ასე ვთქვათ, ძველი ვარსკლავებიდან 22-კაციან განაცხადში მხოლოდ ჟუანი, სისინიო, ჟილბერტო, კაკა, რონალდინიო და რობინიო არიან.

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა კობი კუნმა კი საამხანაგოდ 27 ფეხბურთელს უხმო. პირველ რიგში ფილიპ სენდეროსის დაბრუნება უნდა აღვნიშნოთ, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული. ლონდონის „არსენალის“ 21 წლის მცველი ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

გამოძახებულთა შორისაა კოლუმბიური ფესვების მქონე ნიჭიერი ფორვარდი იოჰან ვონლანტენი. შეგახსენებთ, რომ ამ 20 წლის ფეხბურთელს მუნდიალი ტრავმის გამო გაუცდა და შესაძლოა, ნაკრებში თამაში არც ახლა ეღირსოს. ავსტრიული „ზალცბურგის“ თავდამსხმელი „მატერსბურგთან“ შეხვედრაში დაშავდა და ექიმებმა თქვეს, 10 დღე უნდა დაისვენოსო, თუმცა კუნმა იგი ნაკრებში დატოვა და აღნიშნა, ახალს არავის გამოვიძახებო.

**კოკი კანდელაკი**

# პუშკაშიდან ნავარომდე

## კაცები ბალზაკის ასაკში

**ესპანეთი — რუმინეთი**

**ბოლოს** და ბოლოს ხავი ნავაროს ოცნება სინამდვილედ იქცა — „სევილიას“ ვეტერანი მცველი რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის ესპანეთის ნაკრებში გამოიძახეს. ხავი ნავარო კი კარგა ხნიერია, 32 წლის და 9 თვის გახლავთ.

„ყოველთვის ველოდი, რომ ეს ამბავი მოხდებოდა, ნაკრებში მოხვედრის იმედი არასოდეს დამიკარგავს. ახლა კი ვეცდები, „ფურია როხაში“ ჩემი საქმე პროფესიონალურად, მაღალ დონეზე შევასრულო“ — განაცხადა „მარკასთან“ ინტერვიუში გახარებულმა ანდალუზიელმა.



ხავი ნავარო, იკერ კასილიასი და ფერნანდო მორიენტესი

ესპანელთა ნაკრების ისტორიას რომ გადავხედოთ, ნავაროზე უფრო ხნიერ დებიუტანტად ხელში მხოლოდ ლეგენდარული ფერენც პუშკაში შეგვრჩება. კომუნისტური უნგრეთიდან გამოქცეულმა მითიურმა კაცმა სიბერის ჟამს თამაში ხომ „ფურია როხაში“ დაიწყო. მაშინ პუშკაში 34-ის იყო.

დღეს ლუის არაგონესი ეროვნული გუნდის თავდასხმას „ვალენსიას“ მოიერიშეებს მიანდობს — რუმინელებს დავიდ ვილიასა და ფერნანდო მორიენტესის წყვილი შეუტევს. ანდრეს ინიესტა და ლუის გარსია კი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ. ლივერპულელი ლუის გარსია „ლას როსასის“ საწვრთნელ ბანაკში საერთოდ არ მისულა, ხოლო ინიესტა ნაკრების ექიმებმა გასინჯეს და მწვრთნელს განუცხადეს, მარცხენა მუხლის ტრავმა აქვს და ბარსელონელის მოედანზე გასვლა არ შეიძლებაო.

საინტერესოა, რომ რუმინელებთან შეხვედრა „ბარსელონას“ ფეხბურთელების გარეშე ჩაივლის. ვილია-მორიენტესის ხსენებული დუეტი კი ესპანურ პრიმერაში მეტოქე გუნდების რისხვაა და „ლამურებმა“ ვინძლო, თავი არც სანაკრებო დონეზე შეირცხვინონ.

დონ ლუისი კადისში 4-4-2 სისტემას გამოიყენებს. „მოხუცი“ ხავი ნავაროს გარდა კი სანაკრებო დებიუტით ახალგაზრდები, მიგელ ანხელი და დავიდ სილვა გაიხარებენ, თუმცა მეორე ტაიმში „ფურია როხას“ ფორმაში პირველად გამოწყობის შანსი სავარაუდოდ, ლოპოსა და არისმენდისაც ექნებათ.

ჰო, რაულს კადისში ვერ ვიხილავთ, დონ ლუისი ლეგენდარული კაპიტნის ნაკრებში დაბრუნებას, როგორც ჩანს, არ ჩქარობს. რაულის ჩვეული შვიდი ნომრით კი დავიდ ვილია ითამაშებს.

დაუჯერებლად ჩანს, მაგრამ რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ გუნდის ერთ-ერთი ვარჯიში დახურულად ჩაატარა — „ესტადიო სანჩო დავილაზე“ აღმოსავლეთევროპელებმა მედიის წარმომადგენლები არ შეუშვეს. არენაზე არც ესპანელი და არც რუმინელი ჟურნალისტი არ გახლდათ. დასამალი კი პიცურკას ბევრი არაფერი აქვს: ადრიან მუტუს მეუღლე ბავშვს ელოდება და ამის გამო ნაკრების ლიდერი ესპანეთში არ წასულა. არ იქნება მეკარე ნიკოლიტაც, რომელმაც კასტილიელებს „რეალი“ — „სტიაუას“ მატჩის დროს კომიკური ავტოგოლით დაამახსოვრა თავი.

ვიქტორ პიცურკას, როგორც ფეხბურთელს, თავის დროზე ესპანეთისთვის სიცოცხლე გაუმწარებია. 1987 წლის 29 აპრილს რუმინეთის ნაკრებმა „ფურია როხას“ 3:1 მოუგო, რუმინელთა დღევანდელმა დამრიგებელმაც მაშინ ბრწყინვალედ იბურთავა და ლამაზი გოლი შეაგდო. ესპანური მედია აცხადებს, რომ ინჩასებს პიცურკას თამაში ახლაც კარგად ახსოვთ. ამჟამინდელი რუმინელებიდან კი გამორჩეულნი „რომას“ ცენტრალური მცველი კრისტიან კივუ, „შახტრის“ თავდამსხმელი ჩიპრიან მარიკა, ბუქარესტის „დინამოს“ ფორვარდი რადუ ნიკულესკუ და „რაპიდის“ მეკარე ადრიან კომანი არიან.

„ესპანეთის ნაკრები ძლიერია და მათთან ამხანაგური მატჩი გამოცდილების შეძენაში დაგვეხმარება. რთული შეხვედრა გველის“ — მოკლედ განაცხადა პიცურკამ.

„ვფიქრობ, რომ გავიმარჯვებთ. რუმინელებთან გარკვეულ ცვლილებებს მივმართავ და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს“ — ამბობს ლუის არაგონესი.

რუმინელთა გუნდში ესპანეთში მოთამაშე ორი ფეხბურთელი გამოდის — „სელტას“ იულიან ტამაში და „უელვას“ ლაურენტიუ როსუ.

**ლადო ხომერიკი**



# დაუი, აქედან!

## რა მხარდაჭერა, რის მხარდაჭერა

**რამდენ** ხანს ძლებენ თანამდებობაზე მწვრთნელები ისეთ მოწინავე და იმავდროულად თავისებურ სამყაროში, ინგლისური პრემიერლიგა რომ არის? თუ „ჩარლტონ ატლეტიკის“ მაგალითზე ვიმსჯელებთ, იმდენ ხანს, რამდენიც 12 მატჩის ჩატარებას ჰყოფნის.

ასე და ამგვარად, „ჩარლტონ ატლეტიკმა“ 41 წლის იან დაუი 12 მატჩის შემდეგ გაანთავისუფლა, არადა, დაუიმ ამ თანამდებობის გულისთვის მაისში „კრისტალ პალასი“ დასტოვა და ალან კერბიშლი შეცვალა.

ინგლისური პრესა წერს, რომ დაუის შემცვლელად „დერბის“ ბილი დევისს, „კარდიფ სიტის“ დეივ ჯონსსა და ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს გლენ ჰოდლს ვარაუდობენ. თავდაპირველად ითქვა ყოფილ მწვრთნელ კერბიშლიზეც, მაგრამ მან ყველას გასაგონად მყისიერი უარი განაცხადა:

„ჩარლტონიდან“ ახალი გამოცდილების მოსაძიებლად და შესაძენად წამოვედი და დაბრუნება როგორც ჩემთვის, ასევე კლუბისთვის, ვფიქრობ, ძალიან ცუდი იქნება“.

დაუიმ, რომელიც პრემიერლიგის მწვრთნელთა შორის ჯერჯერობით პირველია, სამსახურიდან რომ გაანთავისუფლეს, სატრანსფერო სეზონზე 10 მილიონი გირვანქა დახარჯა. ცნობისთვის, მას კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში „ჩარლტონ ატლეტიკმა“ მხოლოდ „ბოლტონთან“ და „მანჩესტერ სიტისთან“ შეძლო გამარჯვება, სულ კი 8 ქულა აქვს და პრემიერლიგის ცხრილში ბოლო ადგილზეა. ბოლო ტურში დაუის შეგირდებმა „უიგანთან“ წააგეს 2:3.

„ჩარლტონის“ თავმჯდომარე საიმონ ჯორდანი: „იანთან საფეხბურთო საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა მაქვს, თუმცა ის რომ მოტივაციის დიდოსტატია, ფაქტია. ადამიანის 12 თამაშის შემდეგ გაშვება ძალიან ადრეა და ვაღიარებ, რომ ამაში მხარდაჭერის ნატამალიც არ დევს, მაგრამ ასეთი რამ იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც აშკარაა, რომ მხარდაჭერა საქმეს ველარ უშველის და მწვრთნელი სულ სხვა გზით მიდის“.

**პაპუნა კედია**

# ძმა დისთვისაო

## ვერონიკა ბუფონი გადარჩა

**იტალიის** ნაკრებისა და „იუვენტუსის“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის და სერიოზულ ავტოავარიაში მოჰყვა. 27 წლის ვერონიკა ბუფონი თავის შეყვარებულ სტეფანო ტურისთან და კიდევ სამ მეგობართან ერთად ტურინიდან მილანისკენ მიდიოდა. გზაზე ნისლი იდგა და ავარიაც ამან გამოიწვია.

სერია C2-ს ბინადარი „ბიელეზეს“ ფეხბურთელი ტური და ვერონიკა სიკვდილს გადარჩნენ, თუმცა მეგობარი გოგონა ელეონორა ბისკეტი და ტურის თანაგუნდელი ფრანჩესკო ვარენტი, სამწუხაროდ, ადგილზევე გარდაიცვალნენ. „ბიელეზეს“ კიდევ ერთი მოთამაშე, მარჩელო კოფი მძიმე მდგომარეობაშია. გადარჩენილები ნოვარას საავადმყოფოში მოათავსეს.

„ჩემი და და მისი შეყვარებული კარგად არიან, თუმცა სიხარულის და ღიმილის საფუძველი ნამდვილად არ მაქვს. ორი ადამიანი დაიღუპა და მათ ხსოვნას პატივი უნდა ვცეთ“ — განაცხადა ბუფონმა.

ბუფონის აგენტმა სილვანო მარტინამ კი თავისი კლიენტის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, ჭორებს ყურს ნუ უგდებთ, იანვარში ჯიჯი არსად წასვლას არ აპირებს, მაგრამ მომავალ ზაფხულს ეგებ „იუვენტუსი“ დატოვოსო.

„ჯიჯი ივნისამდე „იუვენტუსში“ დარჩება, ეს გადაწყვეტილია. მას კლუბთან ჩინებული ურთიერთობა აქვს და სერია A-ში დაბრუნების შემდეგ ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება არ გაგვიჭირდება. არც ისაა გამორიცხული, ბუფონმა კლუბი გამოიცვალოს, მას უცხოეთში თამაშის სურვილი აქვს“ — თქვა მარტინამ.

ბოლო დროს ბუფონის „მილანში“ გადასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ, რაზეც მარტინამ ასეთი კომენტარი გააკეთა: „მილანთან“ შეთანხმება უკვე მიღწეული გვქონდა და წესით, ჯიჯი ამ სეზონში „სან სიროზე“ უნდა გადაბარგებულიყო, ხოლო კრისტიან აბიატის „იუვენტუსის“ მაისურა უნდა მოერგო, თუმცა მან „ტორინოში“ გადასვლა არჩია და ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა“.

**გიორგი კაკაბაძე**

# ირლანდიელი ყარაჩოღელის ექვსი ვაჟკაცობა
## კინი კინტაურს გჯობს





**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავი და დღეს „სანდერლენდის“ მწვრთნელი როი კინი მოედანზე ფრთხილი და ტკბილმოუბარი კაცი არასდროს ყოფილა და, ალბათ, ამიტომაც გაიკვირვეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა ირლანდიელის ნათქვამი, დღევანდელ პრემიერლიგაში ბევრი ფეხბურთელი უმსგავსოდ იქცევა, ზოგი კი მსაჯებსაც აგინებსო. ჟურნალისტებმა მარტივად დათვალეს, რომ მოედანზე უხეშობისა და ლანძღვა-გინების გამო კინი მსაჯებს თერთმეტჯერ გაუძევებიათ მოედნიდან, ასე რომ... თუმცა, იმავე ინტერვიუში, სადაც კინი უწესო ფეხბურთელებით გახლდათ აღშფოთებული, ის დღევანდელ პრემიერლიგელებს ტყუილ, არტისტულ ნაქცევებშიც სდებდა ბრალს, რაშიც ცამდე მართალია. რა რა და, ტყუილად, არბიტრის გაბრიყვებისა და ჯარიმის ან პენალტის გამოტყუების მიზნით კინი არასდროს გაპლაკულა მოედანზე. იგი ასეთ საქციელს არ კადრულობდა. და მაინც, როგორ თქვა, მოედანზე ცუდი ქცევა არ ვარგაო? „სან სპორტმა“ მისი კარიერის ექვსი ყველაზე დიდი ინციდენტი ამოწერა და ჩვენც სწორედ მათ გთავაზობთ:**

1995 წელს, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, „კრისტალ პალასთან“ თამაშის დროს კინი გარეთ საუთგეიტს საზიზღარი დაუნდობლობით დაეჯახა და სამთამაშიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 5 ათას გირვანქიანი ჯარიმაც მიიღო. დღეს ამ ინციდენტის ორივე მონაწილე პრემიერლიგაში მუშაობს, კინზე ზემოთვე ვთქვით და საუთგეიტი „მიდლსბროს“ თავკაცობს.

1997-98 წლების სეზონის უმეტესი ნაწილი როი კინს ალფ ინგე ჰაალანდთან შეჯახების გამო გაუცდა. ნორვეგიელმა მას მყესები აწკინა. საინტერესოა, რომ ჰაალანდს თავიდან ეგონა, რომ კინი ტრავმას იგონებდა. ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ კინი და ჰაალანდი ისევ შეხვდნენ მოედანზე და კინი მას დაუნდობლად დაეჯახა — პირდაპირ მუხლში ჩაარტყა გაშლილი ფეხი. თავიდან ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ეპიზოდი ჩვეულებრივი საფეხბურთო უხეშობა ეგონა და კინი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კინის ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც ირლანდიელი წერდა, რომ ის განზრახ, ტკივილის მისაყენებლად დაეჯახა ნორვეგიელს და ამის გამო „სანდერლენდის“ დღევანდელი მწვრთნელი კიდევ ხუთი თამაშით და 150 ათასი გირვანქით დასაჯეს.

2000 წელს როი კინმა აიყოლია თანაგუნდელები ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, იაპ სტამი და გარი ნევილი და შეშლილის სახით მივარდა მსაჯ ენდი დარსოს, რომელმაც „გაბედა“ და „ოლდ ტრეფორდზე“ „მიდლსბროსთან“ შეხვედრაში „მანჩესტერის“ კარში პენალტი დანიშნა. გამძვინვარებულმა მანჩესტერელებმა საბრალო მსაჯი უკუსვლით დახიეს საკმაოდ შორს, რითაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრეს.

2000 წელსვე „ნიუკასლმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაძაბულ შეხვედრაში 4:3 მოუგო. ამ მატჩში ერთმანეთს წაეკიდა პრემიერლიგის ორი დიდი ვარსკვლავი, ალან შირერი და კინი. კერძოდ, კინი ავტის ჩაწოდებას ჩქარობდა, შირერმა ხელი შეუშალა. ამის პასუხად კინმა შირერს ბურთი ესროლა, მან კი შეაგინა. გინებაზე კინმა ხელის გარტყმა სცადა და ამისთვის მოედნიდან გააძევეს.

2002 წლის ამბავი მოედანზე არ მოხდა, მაგრამ ადამიანის ლახასიათებისთვის ჩინებულია: მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ირლანდიის ნაკრები შეკრებაზე იყო, სადაც კინმა მწვრთნელ მიკ მაკარტის აგინა. მაშინ კინი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის შეფების მუშაობითა და ფეხბურთელებისადმი დამოკიდებულებით გახლდათ უკმაყოფილო, მაგრამ მთელი ჯავრი მწვრთნელზე იყარა: „მიკი, შენ მატყუარა ხარ. ფეხბურთელად არასდროს ვარგოდი, არც მწვრთნელად ვარგიხარ და კაციც არა ყოფილხარ!“ — ბღაოდა კინი. ამ ტექსტის ორიგინალში არსებულ გინებებს შეგნებულად ვტოვებთ. რატომ? წარმოიდგინეთ, კინმა მწვრთნელს მსოფლიო თასის ერთ ადგილას მოთავსება რომ შესთავაზა; ეს ყველაზე კორექტული იყო იმ გამოთქმათა შორის, რომლის ჩამოწერაც აქ მოგვიხდეოდა. ბუნებრივია, კინი შეკრებიდან გააგდეს.

2002 წელს კინმა „სანდერლენდის“ ფეხბურთელს ჯეისონ მაკატირს იდაყვი მიარტყა. ცნობისთვის: მაკატირიც ირლანდიელი გახლავთ. დაზარალებულმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ თავის შვილს უმალ პორნოკასეტას უყიდის, ვიდრე კინის წიგნს. ეს ინციდენტი იმითაც გახლდათ საინტერესო, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კინს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაშინ როდესაც ფეხბურთელი საავადმყოფოში წვებოდა ოპერაციისთვის და სამ მატჩს ისედაც ტოვებდა...

**პაპუნა ქედია**

# გადამრიე, გადამრიე...
## ლამპარდი ქეჩოსკენ იწევს

**გრემ ლე სო ხომ გახსოვთ, ეს ფეხბურთელი 90-იან წლებში ინგლისის ნაკრებში გამოდიოდა, ბოლო დროს კი ჟურნალისტობას გაეჩვია და მსოფლიოს ჩემპიონატზე „ევროსპორტის“ ექსპერტად მოგვევლინა. ჰოდა, გრემ ლე სო ამბობს, რომ სტივ მაკლარენმა თავისი ტაქტიკით ყველა დატანჯა, განსაკუთრებით კი საკუთარი ფეხბურთელები — დღეს ინგლისი ამსტერდამში ჰოლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრას მართავს და სანაკრებო თემა ბრიტანულ პრესაში პირველ ადგილზე გადავიდა. ამასთან, ლე სო დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცის თავს დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ნაგება ხორვატიასთან და ფრე მაკედონიასთან**

„ვინაიდან ინგლისმა ბოლო ორ შეხვედრაში სწორი მიმართულება დაკარგა, პასუხისმგებლობა მაკლარენს დაეკისრება — უთხრა 38 წლის მიმომხილველმა გაზეთ „სანს“ — ისე გამოვიდა, რომ დღეს არავინ იცის, რას უნდა ელოდოს ჩვენი ეროვნული გუნდისგან. ჩვენ უკვე ვნახეთ 4-4-2 და 3-5-2. რა იქნება შემდეგი? აშკარა იყო, რომ ხორვატებთან შეხვედრაში მისმა ტაქტიკურმა ცვლილებებმა ფეხბურთელები დააბნია და შეაწუხა. გამოგიტყდებით და, მეც გვარიან საგონებელში ჩავვარდი. ვიცი, ახლა მოდაშია გამოთქმა, რომ კარგი ფეხბურთელი ნებისმიერ ტაქტიკას უნდა ერგებოდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს პრინციპი ასე მარტივად არ მოქმედებს. საუკეთესო ორკესტრანტებსაც სჭირდებათ დირიჟორი და შერწყმა“.

და ლე სო, რომელსაც ინგლისის მთავარი გუნდის მაისურით 36 მატჩი უთამაშია, ამბობს, რომ მაკლარენი ვალდებულია, გამოსავალი რაც შეიძლება მალე ნახოს და თან ეს გამოსავალი რადიკალური უნდა იყოს. კერძოდ, რა?

„მე არ ვამბობ, რომ სტივენ ჯერარდს და ფრენკ ლამპარდს ერთად თამაში არ შეუძლიათ, მაგრამ თუ გინდა, ნებისმიერი მეტოქის დამწიოკებელი ახალგაზრდა გარემარბი აარონ ლენონი გამოიყენო, მაშინ ან ერთი უნდა დასვა სათადარიგოთა სკამზე, ან მეორე“ — თურმე რა სდებია გულში ლე სოს.

სკამისთვის გამეტებული ინგლისელთა კაპიტანი ფრენკ ლამპარდი კი ხორვატებთან მარცხით ძალიან გაწბილებული დარჩენილა. ლამპარდის ყოველ გამონათქვამს ეტყობა, რომ ეს ამბავი დღემდე გულზე დარდად აწევს, მით უფრო, რომ ფანებმა პირადად მისი კბენაც არ დაივიწყეს, სულ ლექსად უძახეს, თუ მზად არ ხარ, ნაკრების მაისურას თავი დაანებეო.

ლამპარდი ამბობს: „ხორვატიაში მომხდარი რამენაირად უნდა დავივიწყოთ. ნამდვილი მამაკაცები სიძნელეებს ამარცხებენ. ჩვენ უნდა ვიყოთ გუნდი, რომელიც რაგინდარა პერიოდს დაძლევს. რა გაეწყობა, კრიტიკის მოსმენა მწარე გამოდგა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ახლა მოედანზე კარგი თამაშით უნდა გავცეთ პასუხი“.



**ფრენკ ლამპარდს ხორვატებთან წაგება ვერ მოუნელებია**

შემდეგ ლამპარდი ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებთა თამაშსაც შეეხო და თქვა:

„ეს ის თამაშია, რომელსაც ქეჩოში უნდა ვწვდეთ და ჩვენი ძლევამოსილება დავანახოთ. რაც შეეხება 4-4-2-სა და 3-5-2-ს, რომელზეც ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ, ვფიქრობ აქ ყველაფერი ფეხბურთელების ბრალია. უპირატესობა რომ გაქვს, ხელიდან არ უნდა გაუშვა, ტაქტიკა კი არაფერ შუაშია“.

**პაპუნა ქედია**

# ძამბროტამ იუვე ბარსას მიატოლა

## ჯანლუკამ ორი დაცვა დაიცვა

2006 წელი ჯანლუკა ძამბროტასთვის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. ზაფხულში იგი იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მერე კი სერია B-ში დაქვეითებული „იუვენტუსიდან“ ჩემპიონთა ლიგის მოქმედ ტრიუმფატორსა და ამჟამად ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ბარსელონაში“ გადაბარგდა. 29 წლის უნივერსალურმა ფეხბურთელმა ბოლო მატჩებში ფრანკ რაიკარდს თავი ისე მოაწონა, რომ კატალონიელთა დაცვის მარჯვენა ფლანგის ბატონ-პატრონი შეიქნა. ახლახან მას **fifa.com**-ი გაესაუბრა



— ჯანლუკა, როგორ მოგწონთ თქვენი ახალი კლუბი და გარემო?

— ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბსა და ულამაზეს ქალაქზე ვსაუბრობთ. ბარსელონაში ცხოვრების დონე ძალიან მაღალია და თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ვარსკვლავების გვერდით თამაში მიადვილდება.

— რა განსხვავებაა „იუვენტუსსა“ და „ბარსელონას“ შორის?

— მთავარი განსხვავება ესპანური და იტალიური ფეხბურთი ანუ სხვადასხვა სტილია. აქ ბურთს უფრო ხშირად იყენებენ და ბურთით მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. იტალიაში კი თამაში უფრო ფიზიკურ ბრძოლასა და ფეხბურთელების მოძრაობაზეა დამოკიდებული. ორივე ბრწყინვალე კლუბია, განსხვავებული მენტალიტეტით.

— რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის „იუვენტუსის“ სერია **B**-ში ხილვა...

— რასაკვირველია, ეს სასიამოვნო არ არის, განსაკუთრებით „იუვეს“ ფეხბურთელებისა და ფანებისთვის, თუმცა ტურინელთა ახლანდელ თამაშსა და მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, არა მგონია, მათ სერია **A**-ში დაბრუნება გაუჭირდეთ.



— მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ტრიუმფი კიდევ გახსენდებათ?

— დიახ, რა თქმა უნდა, ასეთი რამეები ხომ არასდროს გავიწყდება. ეს დიდი ბედნიერება და საოცარი გრძნობა იყო, თუმცა უკვე მოგონებაა და გასახსენებლად დიდი დრო არ მაქვს ხოლმე, მხოლოდ „ბარსელონაზე“ ვარ კონცენტრირებული.

— „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი კვლავ როტაციის სისტემას მისდევს და ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, არავის აქვს გარანტირებული ადგილი. ეს თქვენთვის სიურპრიზია?

— ვიდრე „ბარსელონაში“ გადმოვიდოდი, უკვე ვიცოდი, რომ თავიდანვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ქცევა ძალიან ძნელი იქნებოდა. არც როტაციის სისტემა ყოფილა მოულოდნელი, აქ დიდი კონკურენციაა. ჯერჯერობით ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ.

— „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგაში არცთუ კარგი ვითარება შეექმნა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ორ მატჩში „ლევსკისთან“ და „ვერდერთან“ თუ არ მოიგო, შეიძლება მერვედფინალში ვერც გავიდეს. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ტიტულის დაცვას?

— წინ ორი რთული მატჩია, რომლებიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა სხვა მატჩების შედეგებზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი. ახლა მთავარი სწორედ ჯგუფიდან გასვლაა და ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მეორედ მოგებაზე მერე ვიფიქრებთ. „ბარსელონას“ უამრავი სირთულე გადაულახავს და მჯერა, ამ ტურნირის მოგებაც შეუძლია.

— დეკემბერში თქვენთვის უჩვეულო ტურნირში, ფიფას საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატში ერთვებით, რომელსაც „ბარსელონა“ ძალიან სერიოზულად ეკიდება...

— დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია და ყველანაირად ვეცდებით, მოვიგოთ, რათა „ბარსელონა“ მორიგი ახალი ტიტულით გამდიდრდეს. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში აქამდე არასდროს მითამაშია და ეს პირადად ჩემთვისაც დამატებითი მოტივაციის საფუძველი იქნება.

— კარიერის მანძილზე ბევრი დიდი ფეხბურთელის გვერდით გითამაშიათ. როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე?

— ყველანი, ვისთან ერთადაც მითამაშია, ჩინებული ფეხბურთელები არიან. „ბარსელონაში“ რონალდინიო და სამუელ ეტოო მიმაჩნია საოცარ მოთამაშეებად, თუმცა, ვფიქრობ, ამჟამად მსოფლიოში საუკეთესო ლიონელ მესია. იგი ძალიან ახალგაზრდა და უაღრესად ნიჭიერია, თანაც თავისი ასაკისთვის უკვე ძლიერი ხასიათით გამორჩეული. მას დიდი მომავალი აქვს.

— „ბარსელონას“ დაცვაც ბრწყინვალეა: პუიოლი, მარკესი, ტურამი...

— ასევე ჩინებულად ვგრძნობდი თავს „იუვენტუსში“, სადაც ჩემ გვერდით ტურამი და კანავარო, უკან კიდევ ბუფონი იყვნენ. მაშინ ეს უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო დაცვა იყო. ამჟამინდელი „ბარსელონას“ უკანა ხაზიც შთამბეჭდავია. ერთი სიტყვით, იმ „იუვენტუსის“ და ამ „ბარსელონას“ დაცვას ბრწყინვალე უნდა ვუწოდოთ.

— და, ორივე ამ დაცვაში არის ფეხბურთელი გვარად ძამბროტა?

— დიახ, არის, თუ არ არის?

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი. V ტური. დღეს

### A ჯგუფი

ფინეთი — სომხეთი
ბელგია — პოლონეთი
პორტუგალია — ყაზახეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ფინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

### D ჯგუფი

კვიპროსი — გერმანია
ირლანდია — სან მარინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 10 |
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 18:1 | 9 |
| სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:9 | 6 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:11 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:20 | 0 |

### E ჯგუფი

მაკედონია — რუსეთი
ისრაელი — ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 7 |
| მაკედონია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:19 | 0 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XVI ტური

ლე ავრი 1:1 მეცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 16 | 12 | 3 | 1 | 23:7 | 39 |
| კაენი | 16 | 9 | 6 | 1 | 26:12 | 33 |
| სტრასბური | 16 | 9 | 5 | 2 | 22:11 | 32 |
| დიჟონი | 16 | 8 | 5 | 3 | 20:15 | 29 |
| ლე ავრი | 16 | 6 | 8 | 2 | 24:15 | 26 |
| გრენობლი | 16 | 7 | 5 | 4 | 25:19 | 26 |
| რეიმსი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:13 | 25 |
| შატორუ | 16 | 7 | 4 | 5 | 20:19 | 25 |
| ამიენი | 16 | 7 | 3 | 6 | 20:21 | 24 |
| ბასტია | 16 | 6 | 4 | 6 | 23:21 | 22 |
| აიაჩო | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| მონპელიე | 16 | 5 | 3 | 8 | 19:19 | 18 |
| გენიონი | 16 | 5 | 3 | 8 | 14:24 | 18 |
| ბრესტი | 16 | 3 | 7 | 6 | 14:17 | 16 |
| ლიბურნი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:20 | 16 |
| ნიორი | 16 | 3 | 6 | 7 | 15:21 | 15 |
| კრეტეი | 16 | 3 | 6 | 7 | 9:19 | 15 |
| ისტრი | 16 | 3 | 4 | 9 | 11:24 | 13 |
| გენგამი | 16 | 2 | 5 | 9 | 15:21 | 11 |
| ტურსი | 16 | 3 | 2 | 11 | 11:23 | 11 |

## იტალია

სერია B. XI ტური

ბარი 0:1 ნაპოლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 11 | 7 | 1 | 3 | 13:12 | 22 |
| ჯენოა | 11 | 6 | 3 | 2 | 20:13 | 21 |
| იუვენტუსი | 11 | 9 | 2 | 0 | 20:3 | 20 |
| ბოლონია | 11 | 6 | 1 | 4 | 13:11 | 19 |
| ნაპოლი | 11 | 5 | 4 | 2 | 12:8 | 19 |
| რიმინი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:10 | 18 |
| ჩეზენა | 11 | 5 | 3 | 3 | 20:16 | 18 |
| ბარი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:8 | 17 |
| მანტოვა | 11 | 4 | 5 | 2 | 14:11 | 17 |
| ტრიესტინა | 11 | 4 | 5 | 2 | 8:6 | 16 |
| ალბინოლეფე | 11 | 3 | 7 | 1 | 9:8 | 16 |
| ბრეშა | 11 | 4 | 4 | 3 | 8:9 | 16 |
| ლეჩე | 11 | 4 | 2 | 5 | 16:16 | 14 |
| ფროზინონე | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 |
| ტრევიზო | 11 | 3 | 4 | 4 | 11:13 | 13 |
| სპეცია | 11 | 2 | 6 | 3 | 10:12 | 12 |
| მოდენა | 11 | 3 | 2 | 6 | 8:14 | 11 |
| ვერონა | 11 | 2 | 4 | 5 | 4:7 | 10 |
| კროტონე | 11 | 2 | 3 | 6 | 9:18 | 9 |
| პესკარა | 11 | 0 | 5 | 6 | 8:17 | 4 |
| ვიჩენცა | 11 | 0 | 3 | 8 | 5:14 | 3 |
| არეცო | 11 | 0 | 5 | 6 | 2:11 | -1 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XIV ტური

ბოლესლავი 2:1 მოსტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 14 | 8 | 5 | 1 | 16:5 | 29 |
| ლიბერეცი | 14 | 8 | 4 | 2 | 20:7 | 28 |
| ბოლესლავი | 14 | 9 | 1 | 4 | 22:14 | 28 |
| სლავია | 14 | 7 | 4 | 3 | 21:12 | 25 |
| ტეპლიცე | 14 | 6 | 4 | 4 | 25:17 | 22 |
| ბუდეიოვიცე | 14 | 6 | 4 | 4 | 17:18 | 22 |
| იაბლონეცი | 14 | 5 | 6 | 3 | 16:14 | 21 |
| ბრნო | 14 | 5 | 6 | 3 | 11:11 | 21 |
| ბანიკი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:19 | 19 |
| პლზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:18 | 17 |
| კლადნო | 14 | 5 | 2 | 7 | 15:21 | 17 |
| მოსტი | 14 | 3 | 5 | 6 | 17:22 | 14 |
| პრჟიბრამი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:17 | 12 |
| სიგმა | 14 | 3 | 3 | 8 | 12:20 | 12 |
| ზლინი | 14 | 2 | 4 | 8 | 8:18 | 10 |
| სლოვაცკო | 14 | 1 | 3 | 10 | 8:20 | 6 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XIV ტური

ფოლკირკი 1:1 ჰართსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 14 | 12 | 1 | 1 | 28:10 | 37 |
| რეინჯერსი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:16 | 22 |
| ჰართსი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:15 | 22 |
| აბერდინი | 14 | 6 | 4 | 4 | 17:13 | 22 |
| ჰიბერნიანი | 14 | 5 | 4 | 5 | 22:15 | 19 |
| ინვერნესი | 14 | 4 | 7 | 3 | 16:16 | 19 |
| კილმარნოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:22 | 19 |
| ფოლკირკი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:17 | 18 |
| სტ. მირენი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | 16 |
| დანდი იუნ. | 14 | 3 | 5 | 6 | 13:26 | 14 |
| მოზერუელი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:21 | 12 |
| დანფერმლაინი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:22 | 9 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

ფიურტი 2:2 კაიზერსლაუტერნი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 12 | 8 | 4 | 0 | 30:12 | 28 |
| ჰანზა | 12 | 8 | 4 | 0 | 20:6 | 28 |
| დუისბურგი | 12 | 5 | 6 | 1 | 21:13 | 21 |
| ლაუტერნი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:14 | 21 |
| კობლენცი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| მიუნხენი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:12 | 18 |
| აუე | 12 | 5 | 2 | 5 | 18:19 | 17 |
| ფიურტი | 12 | 4 | 4 | 4 | 22:18 | 16 |
| კიოლნი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:14 | 16 |
| აუგსბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| ფრაიბურგი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:14 | 15 |
| პადერბორნი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:14 | 15 |
| უნტერჰახინგი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:13 | 13 |
| კარლ ცაისი | 12 | 2 | 6 | 4 | 16:24 | 12 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:26 | 11 |
| ოფენბახი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:19 | 10 |
| ესენი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:16 | 9 |
| ბრაუნშვაიგი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:23 | 6 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | . | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | სიტი-ფულემი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 2 | არსენალი-ნიუკასლი | 1.30 | 4.60 | 10.00 | 1.01 | 1.15 | 3.15 |
| 19:00 | 4 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.23 | 5.20 | 14.00 | 1.00 | 1.13 | 3.79 |
| 19:00 | 6 | ევერტონი-ბოლტონი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 7 | პორტსმუთი-უოტფორდი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 19:00 | 8 | რედინგი-ჩარლტონი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 19:00 | 9 | შეფილდი-მანჩესტერი | 9.50 | 4.50 | 1.30 | 3.05 | 1.14 | 1.00 |
| 21:15 | 11 | მიდლსბრო-ლივერპული | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 13 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 20:00 | 14 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 2.30 | 3.30 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | კარდიფი-ქპრ | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 16 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 17 | კრისტალ პალასი-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 18 | ქოვენტრი-უენსდი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 19 | ჰალი-სტოკი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 20 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 21 | ლესტერი-პრესტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 22 | ლუტონი-დერბი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 23 | საუთენდი-პლიმუთი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 24 | სანდერლენდი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 25 | ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 26 | იფსვიჩი-ნორვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 65 | აბერდინი-სტ.მირენი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 66 | სელტიკი-ინვერნესი | 1.22 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.57 |
| 19:00 | 68 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 69 | ჰარტსი-რეინჯერსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 70 | კილმარნოკი-ფოლკირკი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 71 | მაზერველი-ჰიბერნიანი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 135 | ემპოლი-მილანი | 5.30 | 3.30 | 1.65 | 2.03 | 1.25 | 1.10 |
| 23:30 | 137 | კალიარი-პალერმო | 3.20 | 2.90 | 2.30 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 138 | კიევო-ატალანტა | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| 18:00 | 139 | უდინეზე-სიენა | 2.05 | 2.90 | 3.85 | 1.20 | 1.33 | 1.65 |
| 18:00 | 140 | ინტერი-რეჯინა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 18:00 | 141 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1.65 | 3.40 | 3.90 | | | |
| 18:00 | 142 | ლივორნო-პარმა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 18:00 | 143 | მესინა-ლაციო | 2.60 | 2.80 | 2.85 | 1.34 | 1.35 | 1.41 |
| 18:00 | 144 | რომა-კატანია | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 145 | რომა-კატანია 0:1 | 1.75 | 3.40 | 3.55 | | | |
| 18:00 | 146 | ასკოლი-ფიორენტინა | 5.50 | 3.30 | 1.65 | 2.06 | 1.26 | 1.10 |
| 23:30 | 147 | ტორინო-სამპდორია | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 184 | რეალი-რასინგი | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 23:45 | 187 | სევილია-ვალენსია | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 179 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 180 | დეპორტივო-სელტა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 20:00 | 181 | ლევანტე-ატლეტიკო | 2.75 | 3.00 | 2.55 | 1.43 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 182 | მალიორკა-ბარსელონა | 5.85 | 3.60 | 1.55 | 2.22 | 1.22 | 1.08 |
| 20:00 | 186 | უელვა-ოსასუნა | 2.10 | 3.10 | 3.45 | 1.25 | 1.30 | 1.63 |
| 20:00 | 188 | სოსიედადი-ბეტისი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 20:00 | 189 | ვილიარეალი-ხეტაფე | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 190 | სარაგოსა-ტარაგონა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 203 | სედანი-ლიონი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 20:15 | 205 | სოშო-ლილი | 2.55 | 2.90 | 2.85 | 1.35 | 1.34 | 1.43 |
| 23:30 | 206 | ლანსი-ნანტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:30 | 207 | მონაკო-ლორიანი | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 23:30 | 208 | ნანსი-ტრუა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:30 | 210 | პსჟ-ბორდო | 1.95 | 3.00 | 4.10 | 1.18 | 1.32 | 1.73 |
| 23:30 | 211 | რენი-ლე მანი | 1.95 | 3.00 | 4.10 | 1.18 | 1.32 | 1.73 |
| 23:30 | 212 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 213 | ოსერი-ტულუზა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 214 | მარსელი-ვალენსიენი | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 339 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 340 | ნორდსიელანდი-ჰორსენსი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 341 | სილკებორგი-ოდენსე | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 18:00 | 342 | ვეილე-ოლბორგი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 18:00 | 343 | ვიბორგი-ესბიერგი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 21:00 | 344 | რანდერსი-ბრიონდბიუ | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 391 | ესტონეთი-ბელარუსი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 17:00 | 392 | მალტა-ლიტვა | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 20:30 | 393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 394 | შვედეთი-კოტ დ'ივუარი ნ | 3.00 | 3.00 | 2.25 | 1.50 | 1.28 | 1.28 |
| 23:00 | 395 | უნგრეთი-კანადა | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:00 | 396 | ჰოლანდია-ინგლისი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:15 | 397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:15 | 398 | ჩეხეთი-დანია | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:30 | 399 | შვეიცარია-ბრაზილია | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| 23:30 | 400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:50 | 401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 23:45 | 404 | იამაიკა-პერუ | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 23:45 | 405 | ვენესუელა-გვატემალა | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| | | **ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 406 | მაკედონია-რუსეთი | 5.00 | 3.20 | 1.70 | 1.95 | 1.26 | 1.11 |
| 21:00 | 407 | ისრაელი-ხორვატია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:00 | 408 | ფინეთი-სომხეთი | 1.17 | 5.30 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 3.91 |
| 23:00 | 409 | კვიპროსი-გერმანია | 14.00 | 6.50 | 1.13 | 4.43 | 1.04 | 1.00 |
| 23:30 | 410 | ბელგია-პოლონეთი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 411 | ირლანდია-სან მარინო | 1.01 | 11.00 | 45.00 | 1.00 | 1.00 | 8.83 |
| 23:45 | 412 | პორტუგალია-ყაზახეთი | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 581 | ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 20:00 | 582 | ზლინი-კარლოვი ვარი | 1.50 | 4.50 | 3.70 | 1.12 | 1.06 | 2.03 |
| 20:30 | 583 | ზნოიმო-სლავია | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 20:30 | 584 | კლადნო-ტრჟინეცი | 1.85 | 4.10 | 2.60 | 1.27 | 1.08 | 1.59 |
| 20:30 | 585 | ლიტვინოვი-ვსეტინი | 1.35 | 4.60 | 5.20 | 1.04 | 1.07 | 2.44 |
| 20:30 | 586 | პლზენი-სპარტა | 2.25 | 4.20 | 2.10 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| 21:00 | 587 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 651 | დინამო-ცსკა | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 15:00 | 652 | ლოკომოტივი-ამური | 1.30 | 4.50 | 5.00 | 1.00 | 1.03 | 2.36 |
| 15:00 | 653 | მვდ-ვიტიაზი | 1.65 | 4.40 | 3.10 | 1.20 | 1.07 | 1.81 |
| 15:00 | 654 | სევერსტალი-სიბირი | 1.80 | 4.30 | 2.50 | 1.26 | 1.04 | 1.58 |
| 15:00 | 655 | ასკ-ნოვოკუზნეცკი | 1.65 | 4.50 | 3.20 | 1.20 | 1.08 | 1.87 |
| 15:00 | 656 | ავანგარდი-ლადა | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 657 | აკ ბარსი-ტრაქტორი | 1.17 | 5.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 2.82 |
| 15:00 | 658 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.40 | 4.20 | 2.05 | 1.52 | 1.10 | 1.37 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:15 | 778 | ცსკა-ბენეტონი | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 22:45 | 779 | პანათინაიკოსი-რომა | 1.08 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 22:45 | 780 | არისი-ორტეზი | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| 23:45 | 781 | პარტიზანი-ციბონა | 1.40 | 12.00 | 2.35 | 1.25 | 1.00 | 1.96 |
| 23:45 | 782 | ტაუ-ეფესი | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| | | **აზიის თასი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 413 | სირია-ჩინეთის ტაიპეი | 1.23 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.08 | 3.21 |
| 16:00 | 414 | ირანი-სამხრეთ კორეა | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 15:00 | 415 | უზბეკეთი-ყატარი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 417 | ბაჰრეინი-კუვეიტი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 418 | იორდანია-ომანი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 15:30 | 419 | ჩინეთი-ერაყი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 15:30 | 420 | სინგაპური-პალესტინა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 14:00 | 423 | იაპონია-საუდის არაბეთი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 424 | ატლეტიკო პრ-პაჩუკა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 425 | კოლო კოლო-ტოლუკა | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10390 | ავსტრალია-განა ნ | 3.00 | 2.00 | 3.20 | 1.20 | 1.54 | 1.23 |
| 10391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.15 | 2.00 | 2.95 | 1.22 | 1.52 | 1.19 |
| 10392 | მალტა-ლიტვა | 4.65 | 2.10 | 2.20 | 1.44 | 1.49 | 1.07 |
| 10393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 2.70 | 2.00 | 3.60 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 10394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10395 | უნგრეთი-კანადა | 2.20 | 2.10 | 5.20 | 1.07 | 1.54 | 1.49 |
| 10396 | ჰოლანდია-ინგლისი | 2.65 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.53 | 1.29 |
| 10397 | სერბეთი-ნორვეგია | 2.25 | 2.10 | 4.70 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10398 | ჩეხეთი-დანია | 2.25 | 2.10 | 4.75 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10399 | შვეიცარია-ბრაზილია | 4.75 | 2.10 | 2.30 | 1.45 | 1.54 | 1.09 |
| 10400 | ავსტრია-ტრინიდადი | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10401 | იტალია-თურქეთი ნ | 2.25 | 2.10 | 4.75 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.80 | 2.40 | 6.50 | 1.02 | 1.40 | 1.75 |
| 10403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.85 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.44 | 1.64 |
| 10406 | მაკედონია-რუსეთი | 5.30 | 2.10 | 2.20 | 1.50 | 1.55 | 1.07 |
| 10407 | ისრაელი-ხორვატია | 3.30 | 2.00 | 2.80 | 1.24 | 1.51 | 1.16 |
| 10408 | ფინეთი-სომხეთი | 1.32 | 3.20 | 11.00 | 1.00 | 1.17 | 2.47 |
| 10409 | კვიპროსი-გერმანია | 11.00 | 3.20 | 1.30 | 2.47 | 1.16 | 1.00 |
| 10410 | ბელგია-პოლონეთი | 2.75 | 2.00 | 3.65 | 1.15 | 1.56 | 1.29 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11390 | ავსტრალია-განა ნ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | [illegible] | [illegible] |
| 11391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11392 | მალტა-ლიტვა | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11395 | უნგრეთი-კანადა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11396 | ჰოლანდია-ინგლისი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11397 | სერბეთი-ნორვეგია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11398 | ჩეხეთი-დანია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11399 | შვეიცარია-ბრაზილია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11400 | ავსტრია-ტრინიდადი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11401 | იტალია-თურქეთი ნ | 2.35 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11406 | მაკედონია-რუსეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11407 | ისრაელი-ხორვატია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11410 | ბელგია-პოლონეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12390 | ავსტრალია-განა ნ | 1.60 | 2.00 |
| 12391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12392 | მალტა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 12394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12395 | უნგრეთი-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 12396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.60 | 2.00 |
| 12397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.60 | 2.00 |
| 12398 | ჩეხეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 12400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.60 | 2.00 |
| 12401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.90 | 1.70 |
| 12406 | მაკედონია-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12407 | ისრაელი-ხორვატია | 1.60 | 2.00 |
| 12408 | ფინეთი-სომხეთი | 2.00 | 1.60 |
| 12409 | კვიპროსი-გერმანია | 2.80 | 1.30 |
| 12410 | ბელგია-პოლონეთი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13390 | ავსტრალია-განა ნ | 1.70 | 1.90 |
| 13391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 13392 | მალტა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 13393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 13394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13395 | უნგრეთი-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 13396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.70 | 1.90 |
| 13397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13398 | ჩეხეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 13400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.90 | 1.70 |
| 13403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.90 | 1.70 |
| 13406 | მაკედონია-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13407 | ისრაელი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13408 | ფინეთი-სომხეთი | 2.10 | 1.55 |
| 13409 | კვიპროსი-გერმანია | 2.40 | 1.40 |
| 13410 | ბელგია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14390 | ავსტრალია-განა ნ | 1.85 | 1.95 |
| 14391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.95 | 1.85 |
| 14392 | მალტა-ლიტვა | 2.40 | 1.45 |
| 14393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.75 | 2.10 |
| 14394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.90 | 1.90 |
| 14395 | უნგრეთი-კანადა | 1.30 | 2.50 |
| 14396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.75 | 2.10 |
| 14397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.60 | 2.30 |
| 14398 | ჩეხეთი-დანია | 1.60 | 2.30 |
| 14399 | შვეიცარია-ბრაზილია | 2.40 | 1.40 |
| 14400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.30 | 2.50 |
| 14401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.40 | 2.35 |
| 14402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.20 | 2.60 |
| 14403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.20 | 2.60 |
| 14406 | მაკედონია-რუსეთი | 2.40 | 1.40 |
| 14407 | ისრაელი-ხორვატია | 2.00 | 1.80 |
| 14410 | ბელგია-პოლონეთი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15390 | ავსტრალია-განა ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15392 | მალტა-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | უნგრეთი-კანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | ჰოლანდია-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | სერბეთი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15398 | ჩეხეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15399 | შვეიცარია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15400 | ავსტრია-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15401 | იტალია-თურქეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15403 | ესპანეთი-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15406 | მაკედონია-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | ისრაელი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | ფინეთი-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | კვიპროსი-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | ბელგია-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16390 | ავსტრალია-განა ნ | 1.80 | 1.80 |
| 16391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 16392 | მალტა-ლიტვა | 3.20 | 1.25 |
| 16393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.50 | 2.30 |
| 16394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.80 | 1.80 |
| 16395 | უნგრეთი-კანადა | 1.25 | 3.35 |
| 16396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.55 | 2.20 |
| 16397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.25 | 3.20 |
| 16398 | ჩეხეთი-დანია | 1.25 | 3.20 |
| 16399 | შვეიცარია-ბრაზილია | 3.00 | 1.30 |
| 16400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.15 | 4.00 |
| 16401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.25 | 3.40 |
| 16402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.09 | 4.50 |
| 16403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.09 | 4.50 |
| 16406 | მაკედონია-რუსეთი | 3.50 | 1.20 |
| 16407 | ისრაელი-ხორვატია | 1.90 | 1.70 |
| 16410 | ბელგია-პოლონეთი | 1.55 | 2.20 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17390 | ავსტრალია-განა ნ | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17392 | მალტა-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17395 | უნგრეთი-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17398 | ჩეხეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | მაკედონია-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ისრაელი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ფინეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | კვიპროსი-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17410 | ბელგია-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |



# მამაცაშვილის მამაცური სვლა

## ლატვიის უმაღლესიდან საფრანგეთის ნაციონალში

სეზონის დასაწყისში *გიორგი მამაცაშვილმა* ხეირიან გუნდს მიაგნო — რიგის ასკ-მ ორკვირიანი დაკვირვების შემდეგ კონტრაქტი გაუფორმა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო მას ამ კლუბში თამაში არ დასცალდა. ლატვიაში სამუშაო ვიზის მიღებას საშველი არ დაადგა და მამაცაშვილსაც სამშობლოში გამობრუნება მოუხდა. თუმც მას არაფერი აქვს სანერვიულო — დღე-დღეზე მიწვევას მიიღებს და საფრანგეთში გაემგზავრება. გუშინ მამაცაშვილს ლატვიური ამბებიც გამოვკითხეთ და მომავალზეც გავესაუბრეთ...

— რიგიდან რომ წამოვედი, ვფიქრობ, სწორედ მოვიქეცი, რადგან, რაც უფრო მეტხანს დავრჩებოდი, მეტ დროს დავკარგავდი. ერთი თვე ვცდილობდი სამუშაო ვიზის მიღებას, მაგრამ არ გამოვიდა, კიდევ სჭირდებოდა გარკვეული დრო და მეც წამოსვლა ვარჩიე.

**— თუ სამუშაო ვიზა არ გქონდა, კონტრაქტი რატომ გაგიფორმეს?**

— ჰოდა, მთავარი შეცდომაც ეგ იყო, სამუშაო ვიზის გარეშე რომ გამიფორმეს კონტრაქტი. ყველას ეგონა, რომ ვიზას მივიღებდი, მაგრამ დამატებითი საბუთები მომთხოვეს და...

**— კონკრეტულად რა საბუთი ვერ მიიღე?**

— თავიდან ცნობა მომთხოვეს, რომ არ ვიყავი ნასამართლევი. ეს მივიღე, მაგრამ მერე რაღაც კიდევ მოითხოვეს და ამასობაში „ასკ რიგამ" 6 მატჩი უკვე ჩაატარა. ვიზას კი მივიღებდი, მაგრამ, ალბათ, კიდევ ერთი თვე დამჭირდებოდა და რადგან საფრანგეთის ვარიანტი გამომიჩნდა, დაუფიქრებლად წამოვედი ლატვიიდან.

**— ესე იგი, მომავალი გუნდი შერჩეული გყავს...**

— მართალია, დაბალი დივიზიონის გუნდების ვარიანტები მაქვს, რომლებიც სიძლიერით „ასკ რიგას" ჩამორჩებიან, მაგრამ, სიმართლე ვთქვა, სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე საფრანგეთში წასვლა. ვიზა რომც მქონოდა, რიგაში, ალბათ, იმდენს არ მათამაშებდნენ, რამდენსაც საფრანგეთში ველი. ნაციონალ C ლიგაში მივდივარ, რომელიც უმაღლესისგან ორი საფეხურით დაბლა დგას. ორი გუნდის ვარიანტი მაქვს, რომლებიც უკვე მზად არიან კონტრაქტი გამიფორმონ. ერთი ქალაქ მირკურის გუნდია, მეორე — ნანსის. მე პირველისკენ მიმიწევს გული, რადგან „მირკური" შედარებით სუსტია და იქ უფრო დიდხანს ვიქნები მოედანზე.

**— უნახავად კონტრაქტის გაფორმებაზე ყაბულს როგორღა არიან?**

— მე ხომ 2 წელი ვთამაშობდი საფრანგეთში და იქაურ საკალათბურთო წრეებში ასე თუ ისე მიცნობენ. როცა „დიჟონსა" და „პარიზში" ვიყავი, ახალგაზრდულ ლიგაში სისტემატურად ვთამაშობდი და ალბათ იქიდან ვახსოვარ ფრანგებს. ჩემმა აგენტმა რიდ სალივანმა მითხრა, გუნდში მოწყობა პრობლება არ იქნებაო. მე ჯერ „მირკურიში" ჩავალ და მერელა გადავწყვეტ, რომელ გუნდში დავრჩე.

**— როდის მიდიხარ?**

— ხვალ მოწვევა ჩამომივა და მერე საფრანგეთის ვიზის მისაღებად საელჩოში მივალ. როცა მივიღებ, უმალვე წავალ, არ მინდა, რომ უგუნდოდ ყოფნა გამიგრძელდეს. აქ კი ვვარჯიშობ, მაგრამ სისტემატური ვარჯიშები სულ სხვაა.

**— ბოლოს გიორგი ცინცაძეზე გკითხავ, რომლის გუნდსაც „ასკ რიგა" ბალტიის ლიგაში შეხვდა...**

— ცინცაძეს ძალიან აქვს მომატებული. ის „როკის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და ესტონელებიც დიდად ენდობიან. როცა „როკი" რიგაში ჩამოვიდა, გიორგის შევხვდი და საკუთარი თვალით ვნახე, თუ რამხელა პატივს სცემენ მას თანაგუნდელები. სხვათა შორის, ცინცაძემ ძალიან ძლიერად ითამაშა იმ მატჩში, მაგრამ რიგელებმა ბოლო წუთებზე მაინც იმარჯვეს. თუ ასე გააგრძელა, ცინცაძეს უკეთესი გუნდი მიიწვევს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლმა ეტლი გააქროლა

13 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 113:119 სიეტლი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (38), კრსტიჩი (21), კიდი (20 ქულა, 12 პასი)

სიეტლი: რიდნორი (32), ლუისი (27 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (22), ვილკოქსი (22)

**ნიუ იორკი 96:102 კლივლენდი**

ნიუ იორკი: რობინსონი (19), კროუფორდი (18), ფრაი (17)

კლივლენდი: ჯეიმსი (29), ჯონსი (29), ჰიუზი (14)

**ბოსტონი 89:92 ორლანდო**

ბოსტონი: პირსი (21), შჩერბიაკი (14)

ორლანდო: ნელსონი (24), ჰილი (18), ჰოვარდი (17 ქულა, 15 მოხსნა)



სიეტლელმა ლუკ რიდნორმა „ნიუ ჯერსი" აიკლო

არცთუ შორეულ წარსულში ნბას საუკეთესო გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა 18-პასიან და სამმაგდუბლიან თამაშს კიდევ ერთი კარგი მატჩი მიაყოლა, შინ „სიეტლთან" 21 ქულა და 12 პასი გაუხერხა „ნიუ ჯერსის", მაგრამ ამჯერად ვერ იხსნა თავისი გუნდი მარცხისგან.

„სიეტლმა" „ნიუ ჯერსის" სამკვიდრო ისტ რეზერფორდში დაასრულა 5-მატჩიანი აღმოსავლური ტურნე, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოუვიდა — ხუთიდან ბოლო სამი მოიგო, მათ შორის, ზაზა ფაჩულიას „ატლანტაც" დაამარცხა და შეაწყვეტინა 4-მატჩიანი წაუგებელი სერია.

„ნიუ ჯერსისთან" გამარჯვების სულისჩამდგმელი გახლდათ ჯეისონ კედის ოპონენტი, „სიეტლის" ასევე თეთრკანიანი გამთამაშებელი ლუკ რიდნორი, რომელსაც ხან ახალ ჯონ სტოქტონს ეძახიან, ხანაც — ახალ სტივ ნეშს. რიდნორს, საზოგადოდ, პირველამდეც და მეორემდეც ბევრი უკლია, მაგრამ „ნიუ ჯერსისთან" ისე ირჯებოდა, რომ ასეთ თამაშს სტოქტონიც მოაწერდა ხელს და ნეშიც. რიდნორი არ შეეპუა ჯეისონ კიდის ავტორიტეტს, თავიდანვე შეუდგა ქულების გროვებას და კარიერაში სარეკორდოდ ბევრსაც მოუყარა თავი, თუმც არც პირველადი საქმე დაივიწყა, აქეთ-იქით ფრთებზე ჩასაფრებულ ალენს და ლუისს არ მოაკლო პასები და არც ფარქვეშეთში შემალული ვილკოქსი დატოვა უყურადღებოდ. მოკლედ, გუნდს გადასარევად უდირიჟორა. მისი „სიეტლიც" პირველი მეოთხედის 35:17 მოგების შემდეგ მეორეში ერთხანს 25 ქულითაც დაწინაურდა და მთელი შეხვედრა მდევრად ამყოფა მასპინძლები.

**ქოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 3 | 3 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 3 | 50,0 |
| ტორონტო | 2 | 4 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 2 | 6 | 25,0 |
| ბოსტონი | 1 | 6 | 14,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 5 | 2 | 71,4 |
| ინდიანა | 4 | 3 | 57,1 |
| ჩიკაგო | 3 | 3 | 50,0 |
| დეტროიტი | 3 | 4 | 42,9 |
| მილუოკი | 2 | 5 | 28,6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ატლანტა | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 5 | 3 | 62,5 |
| მაიამი | 3 | 3 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 3 | 3 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 5 | 16,7 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 5 | 1 | 83,3 |
| ჰიუსტონი | 5 | 2 | 71,4 |
| ნიუ ორლეანი | 4 | 3 | 57,1 |
| დალასი | 2 | 4 | 33,3 |
| მემფისი | 1 | 5 | 16,7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 6 | 1 | 85,7 |
| პორტლენდი | 4 | 3 | 57,1 |
| სიეტლი | 4 | 4 | 50,0 |
| დენვერი | 2 | 3 | 40,0 |
| მინესოტა | 2 | 4 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| კლიპერსი | 5 | 1 | 85,7 |
| საკრამენტო | 4 | 2 | 66,7 |
| ლეიკერსი | 5 | 3 | 62,5 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 3 | 57,1 |
| ფინიქსი | 2 | 5 | 28,6 |

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ჯო ჯონსონი (ატლანტა)**

## დასავლეთი

**იაო მინი (ჰიუსტონი)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ „ატლანტა ჰოქსის" ლიდერი ჯო ჯონსონი და „ჰიუსტონ როკიტსის" ცენტრი იაო მინი დაასახელა.

ჯონსონი პირდაპირ სტაბილურობის განსახიერებაა, თავის გუნდს ყოველ თამაშში რიხით მიუძღვის წინ და „ატლანტაც" უფრო იგებს, ვიდრე აგებს. წინა კვირაში „ქორებმა" სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს — „კლივლენდი" და „ტორონტო" დაამარცხეს, „სიეტლთან" კი ოვერტაიმში ბოლო წამებზე დათმეს — 112:113. 201-სანტიმეტრიანი უნივერსალი უკანახაზელი ჯონსონი კი ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 29,0 ქულას, 8,7 მოხსნასა და 4,7 პასს იხვეჭდა.



მძლავრი კვირა ჰქონდა იაო მინსაც. „ჰიუსტონის" ახმახი ცენტრი იქნებ თავის ფორმის პიკზეც იყოს, ფარქვეშ არავის ახარებს და მეტოქე მაღლებს, რომლებიც ხშირად მხრებამდეც ვერ მიუდიან, ყოველგვარი სინანულის გარეშე არბევს. მაგალითად, „ნიუ იორკთან" შეხვედრაში იაომ 35 ქულა, 17 მოხსნა და კარიერაში სარეკორდო, 7 დაფარება ჩაიწერა, „რაკეტებს" გასული კვირის სამი დანარჩენი თამაშიც მოაგებინა და საშუალოდ ამ ოთხ შეხვედრაში 29,0 ქულა და 11,3 მოხსნა გამოუვიდა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი), მაიკლ რედი (მილუოკი), ჯო ჯონსონი (ატლანტა), კარმელო ენტონი (დენვერი), იაო მინი (ჰიუსტონი).



საქართველოს ნაკრების მსუბუქწონიანი ძიუდოისტებისთვის საერთაშორისო სეზონი დასრულებულია. ეროვნულის წევრების თუ კანდიდატების მთავარი საფიქრალი დეკემბრის შუა რიცხვებში გასამართი საქართველოს ჩემპიონატილაა. მძიმეებს კი იქამდე ერთი მნიშვნელოვანი ტურნირიც ელით. 3 დეკემბერს ბუქარესტში ევროპის უძლიერესი მძიმეწონოსნები აბსოლუტური ჩემპიონობისთვის საბრძოლველად შეიკრიბებიან. ამ დონის სხვა პირადი პირველობებისგან განსხვავებით, აბსოლუტურ ჩემპიონატში თითოეულ ქვეყანას რამდენიმე მონაწილის წარდგენა შეუძლია. *შოთა ხაბარელსაც* საბუქარესტოდ სამეული შეურჩევია

# შოთა ხაბარელის მძიმე სამკაცა

„ევროპის ჩემპიონატზე ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი იჭიდავებენ — გვითხრა გუშინ ნაკრების თავკაცმა — მძიმე წონაში შიდა კონკურენცია საკმაოდ მაღალ დონეზეა. სამივე ძლიერი ძიუდოისტია და წარმატების შანსიც აქვთ. ყველანაირად ვეცდებით, სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირი წარმატებით მოვიაროთ. ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე მედალი ბოლოს შარშანწინ ავიღეთ — გიორგი ყიზილაშვილი მეორე ადგილზე გავიდა".

ბუქარესტში გამგზავრებამდე მძიმეწონოსნები ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობასთან და საფრანგეთის ნაკრების პირველ-მეორე ნომრებთან ერთად ათდღიან ერთობლივ შეკრებას გაივლიან. „ფრანგები თბილისში 27 ნოემბერს ჩამოვლენ და იმავე დღიდან ვაკის დარბაზში ერთობლივ ვარჯიშებს დავიწყებთ. წინასწარი გეგმით, ეს შეკრება ბორჯომში უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაწყვეტილება შევცვალეთ" — დასძინა ხაბარელმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ლაშა გუჯეჯიანს ბუქარესტში მძიმე ორთაბრძოლები ელის



# კოკაის სეკივაკეც ემძიმა

**სეზონის** ბოლო, ფუკუოკური ბაშოს მესამე ტურიც მარცხიანი გამოდგა ლევან ცაგურიასთვის. კომუსუბი კოკაი ამჯერადაც თავისზე მაღალწოდებიან დევკაცთან, სეკივაკე კოტომიცუკისთან დამარცხდა. ჩვენებურმა თავიდან აქტიურად შეუტია მძლავრ მეტოქეს, მაგრამ კოტომიცუკიმ ამით, პირიქით, ისარგებლა და კოკაი თავისკენ დაქაჩა. ამ გამარჯვებით სეკივაკე წაუგებელ ლიდერთა სიას შერჩა. „შავი ზღვა" კი სამქულიანი მინუს ბალანსით ცხრილის ფსკერზეა.



კოტოოსიუმ (მარჯვნივ) დექიმა დასცა

კოკაის დღესაც თავისზე მაღლა მდგომ რიკისისთან მოუწევს დაჭიდება. ოძეკი მიაბიამა უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში ყველაზე მძიმეა — 186 კილოგრამს იწონის, ქართველი კი 154 კილოგრამია. მიაბიამამ მიმდინარე ბაშო რიხიანად დაიწყო, ზედიზედ ორჯერ იმარჯვა, მაგრამ გუშინ მოულოდნელად კომუსუბი როხოსთან წაიფორხილა. ამ უკანასკნელმა მიაბიამას სწრაფად შემოურბინა და ზურგსუკნიდან ხელის კრით მაყურებლებში გადაუძახა. მესამე ტური ოძეკი ტოჩიაძუმასთვისაც უიღბლო აღმოჩნდა. მას ექს-კომუსუბი ფუტენომ აჯობა.

მეოთხე ტურს ასპროცენტიანი მაჩვენებლით ხვდებიან იოკოძუნა ასასიორიუ, სამი ოძეკი: ტიოტაიკაი, კოტოოსიუ და კაიო, სეკივაკე კოტომიცუკი და ხუთი რიგითი მაეგაშირა: ბალტი, ასასეკირიუ, კაკიძოე, ოცუკასა და ტამაკასუგა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# პატარა და მარდი

**გასულ უქმეებზე** ნორვეგიასა და პორტუგალიაში კროსები მოეწყო. ორივეგან ბლომად მოიყარეს თავი შიშველ გრუნტზე სირბილის მოყვარულმა ევროპელებმაც და სხვებმაც.

ნორვეგიაში კროსის დღეს თბილი ამინდები დაიჭირა, თუმცა წინა დღით მოსულმა წვიმამ მიწა დაალბო და მორბენლებს გზაც აუტალახა. ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, სირბილი არცთუ დაძაბული გამოვიდა. სტიპლჩეიზის (წინაღობებით რბენა) შვედმა ოსტატმა მუსტაფა მუჰამედმა (!) ყველას სიქა გააცალა, ბოლო კილომეტრნახევარი კი სრულიად მარტომ ირბინა, როცა დანარჩენები ჰორიზონტზეც არ ჩანდნენ.

იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა ქალებში. სუსტი სქესის წარმომადგენლები კაცთა 9-კილომეტრიანი დისტანციის მხოლოდ ნახევარს, 4,5 კილომეტრს გარბოდნენ და აქ ახალგაზრდა გოგონებში გამარჯვებულმა ნორვეგიელმა კაროლინ ბიერკელი გროვდალმა 13 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ზრდასრულ ქალბატონთა შორის გამარჯვებულმა, ასევე ნორვეგიელმა კირსტენ მერკევიკ ოტერბუმ. მაშინვე ითქვა, რომ პატარა კაროლინას ზღაპარივით მომავალი ელის და მალე ის გრძელ დისტანციებზე სირბილში მსოფლიოს ერთ-ერთი უკაშკაშესი ვარსკვლავი გახდება.



ნორჩმა კაროლინ ბიერკელი გროვდალმა ყველა გააოცა

პორტუგალიაშიც 9 კილომეტრი ირბინეს კაცებმა, ქალთა დისტანცია კი 5 კილომეტრამდე შეიკვეცა. კაცთა შორის ჭეშმარიტად მოუღლელ მორბენალთა სამშობლოს, კენიის შვილმა პიტერ კამაისმა იმარჯვა. ქალთა განაკვეთში კი ფინიშის ლენტი, მასპინძელთა გასახარად, პორტუგალიელმა ჯესიკა აუგუსტომ გაწყვიტა.

**კოტე ყორშია**



**ჩემპიონთა ლიგა. კაცები**

**მერვედფინალის წილისყრა**

# ვენამ ლიგა დააწყვილა

**გუშინ** ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის სამერვედფინალო წილისყრა მოეწყო.

ტურნირის შვიდივე ფავორიტი — ოთხი ესპანური და სამი გერმანული კლუბი პრივილიგირებულ მდგომარეობაშია, რადგან, როგორც ჯგუფებში პირველადგილოსნები, საპასუხო თამაშებს თავიანთ მოედანზე გამართავენ და ამდენად, პლეი ოფის მომდევნო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

ყველაზე მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი ლიგის ექსტრიუმფატორთა, ფრანგულ „მონპელიესა" და ესპანურ სუპერგრანდ „ბარსელონას", აგრეთვე სლოვენიის „ცელიე პივოვარნა ლაშკოს" და გერმანულ „ფლენსბურგ-ჰანდევიტის" დაპირისპირებაში.

მერვედფინალური მატჩები 2-3 და 9-10 დეკემბერს გაიმართება.

**მონპელიე** (საფრანგეთი) — **ბარსელონა** (ესპანეთი)
**ვესპრემი** (უნგრეთი) — **კოლდინგ ელიტი** (დანია)
**გოლდ კლუბ კოზინა** (სლოვენია) — **პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი)
**სვენდბორგ გუდმე** (დანია) — **სიუდად რეალი** (ესპანეთი)
**პიკ სეგედი** (უნგრეთი) — **ვალიადოლიდი** (ესპანეთი)
**ცელიე პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია) — **ფლენსბურგ-ჰანდევიტი** (გერმანია)
**ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი) — **გუმერსბახი** (გერმანია)
**შამბერ სავოი** (საფრანგეთი) — **კილი** (გერმანია)




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844



AFP მადრიდიდან

# ამაყი და ბედნიერი

## საუკეთესო ჟუსტინი გამარჯვებით ტკბება

**ჟუსტინ ენინ-არდენმა მორიგი სეზონი მაჟორულ ნოტაზე გაასრულა და მადრიდში კარიერაში პირველად წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო. თუმც ქინკა ბელგიელს წელიწადი მაინც ტრავმებმა ჩაუშხამა, რომელთა გამოც შეიძლებოდა, ესპანეთის დედაქალაქში სულაც ვერ ჩასულიყო.**

**მადრიდში ენინს უთამაშებლობის ან ტრავმიანობის არაფერი ეტყობოდა, მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე იჩოგნავა და სამწლიანი შესვენების შემდეგ რეიტინგის სათავეში დაბრუნდა. ჟუსტინის შემდეგი მიზანი აქამდე დაუპყრობელი მწვერვალის, უიმბლდონის მოგებაა**

**— ამ ტურნირზე ერთადერთი ჩოგბურთელი იყავით, ვისაც სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონდა. თქვენ ხომ ორი თვე არ გეთამაშათ...**

— ეს ფაქტი მეც მაფიქრებდა. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჯანმრთელობა კვლავაც არ დამალალებდა და 6 დღეში 5 ურთულესი თამაშის ჩატარებას მოვახერხებდი. ეს მართლაც მძიმე გამოწვევა იყო და მეეჭვებოდა, რომ თავს გავართმევდი. მაგრამ ყველაფერი კარგად წავიდა, მოვიგე და პირველი ნომერიც გავხდი.ბედნიერი ვარ, ყველაფერი ასე რომ გამოვიდა.

**— ახლა ერთი ნატვრაღა დაგრჩათ არა, უიმბლდონი?**

— ყველა ტურნირზე მხოლოდ მოსაგებად ვთამაშობ, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც ჯანმრთელობის შენარჩუნებაა. ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი 2006-ში და მომავალ წელსაც ასე ვიზამ. ისე, ახლა მომავალ სეზონზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება — ჯერ ამ გამარჯვებით დავტკბები და განვლილ დიდებულ სეზონს გადავხედავ. რამდენიმე კვირაში კი მომავალ წელზე ვისაუბროთ. უიმბლდონი ჩემ თვითმიზანი არასოდეს ყოფილა და არც იქნება — მაშინ სხვა ტურნირები უნდა დავივიწყო, ეს კი არასოდეს მოხდება.

**— ამელის მორესმოს ჯგუფშიც ეთამაშეთ და წააგეთ. ფინალში ტაქტიკაში რაიმე შეცვალეთ?**

— ისე, ამელის დამარცხება ჯგუფშიც შემეძლო, მაგრამ თითქოს რაღაცა დამაკლდა. ასე რომ ფინალში გადავწყვიტე, ის უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ მომექცია — განსხვავებაც ეს იყო, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ძნელი იყო საჭირო რიტმის პოვნა და ეს მხოლოდ მეორე სეტის უკანასკნელ სამ გეიმში მოვახერხე, როცა მართლაც დიდებულად ვითამაშე და ბადესთანაც უშეცდომო ვიყავი.

**— ზოგიერთი მოთამაშე მაშინ უფრო ავანტურისტულად თამაშობს, როცა მცირე ტრავმა აწუხებს. თითქოს ზეწოლას აღარ გრძნობენ და ისეთ რისკზე მიდიან, რასაც ჯანმრთელ მდგომარეობაში, უბრალოდ, ვერ გაბედავდნენ. თქვენც ასე დაგემართათ?**

— ალბათ შეიძლება მაგის თქმა. ვიცოდი, რომ ჩემი მდგომარეობა არ მომცემდა იმის საშუალებას, გრძელი გათამაშებებისთვის გამეძლო და მეტოქის შეცდომას დავლოდებოდი. ამიტომ ვცდილობდი, მუდმივად შემეტია და უპირატესობა ჩემით მომეპოვებინა. იძულებული ვიყავი, აგრესიულად მეთამაშა და ამან გაამართლა კიდეც.

**— ესე იგი, რადგანაც 100 პროცენტით არ იყავით მზად, ჩვეულებრივ ზეწოლას აღარ განიცდიდით?**

— ალბათ. აქ იმ განწყობით არ ჩამოვსულვარ, რომ ტურნირი აუცილებლად უნდა მომეგო. უბრალოდ, ვცდილობდი, ისე მეთამაშა, როგორც ამის საშუალებას ტრავმა მომცემდა — რაც გამოვა, გამოვიდესმეთქი. ისე, უკანასკნელი დღეები მართლაც საოცარი იყო. ასე ჩემი თამაშით არასოდეს დავმტკბარვარ.

**— ჟუსტინ, ახლა როცა წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგეთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ რეიტინგის პირველ საფეხურზე ასვლა დაიმსახურეთ?**

— ყველა ჩოგბურთელი ბევრს შრომობს და ბევრი რამის დათმობა უწევს, კარგად რომ იასპარეზოს. წლეულს ამელისა და მარიასაც (შარაპოვა) მშვენიერი სეზონი ჰქონდათ. მაგრამ მე ძალიან სოლიდურად გამოვიყურებოდი, ციფრებიც ყველაფერზე მეტყველებს — 13 ტურნირიდან 10-ის ფინალში გავედი და 6 მოვიგე. თან ყველა სლემტურნირის ფინალში ვითამაშე და „როლან გაროსზე" ვიჩემპიონე. შემიძლია ვთქვა, რომ უიმბლდონსა და აშშ-ში საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. სამაგიეროდ, გარწმუნებთ, რომ კარიერაში საუკეთესო სეზონი მქონდა.

**— რატომ საუკეთესო?**

— იმიტომ, რომ პირველი ტურნირიდან ბოლომდე ერთ, თან მაღალ დონეზე ვითამაშე. მხოლოდ მაიამიში წავაგე პირველ წრეში. ნახევარფინალები ჩარლსტონსა და ინდიან უელსში, დანარჩენებში კი ყველგან ფინალში ვიყავი. მთელი სეზონის თანაბრად გავლა იოლი სულაც არ არის. ეს დიდ შრომას მოითხოვს. თან უკანასკნელ ორ თვეს თუ არ ჩავთვლით, ჯანმრთელადაც ვიყავი — მოკლედ, აუგის სათქმელი მართლაც არაფერი მაქვს.

**— მომავალი სეზონიც ასეთი დაძაბული იქნება? კვლავაც თქვენ ამელი, მარია და შეიძლება კიმიც (კლაისტერსი) ისევ ასეთ დაძაბულ საჩემპიონო რბოლას მოაწყობთ?**

— ერთის თქმა ნაღდად შემიძლია — საინტერესო სეზონი იქნება, მაგრამ მოდით, ახლა ამაზე ნუ ჩალაპარაკებთ. მინდა, ამ მომენტით დავტკბე და მომავალზე ჯერ არ ვიფიქრო...

**— როცა მადრიდის მერმა თასი გადმოგცათ და შემდეგ ხელის ჩამორთმევა მოინდომა, თქვენ ისე ჩაეჭიდეთ ჯილდოს, თითქოს გეშინოდათ, არ გაგვარდნოდათ...**

— მართლა? ალბათ სასაცილოდ გამოვიყურებოდი. ჩანაწერს აუცილებლად ვნახავ. მაგრამ არა, ნამდვილად არ მეშინოდა, რომ თასი დამივარდებოდა.

## მასტერსის თასი. შანხაი

ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 500 000 $

| წითელი ჯგუფი | | | |
|---|---|---|---|
| როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) | 4:6 7:6 6:4 | ენდი როდიკი (5, აშშ) |
| ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) | 5:7 7:6 7:5 | დავიდ ნალბანდიანი (7, არგენტინა) |

# დუქინი როდიკი როჯერის ხურჯინში



AFP შანხაიდან

**გუშინ** წითელი ჯგუფის მეორე ტური გაიმართა, რომელმაც სიტუაცია მთლიანად აურ-დაურია — ისეთი მდგომარეობაა, რომ ბრძოლის გაგრძელება ოთხივე ჩოგბურთელს შეუძლია, მათ შორის ჯერჯერობით მთავარ უიღბლოსა და მოქმედ ჩემპიონ დავიდ ნალბანდიანსაც, რომელსაც უკვე ორი წაგება დაუგროვდა. თუმც იმის განხილვას, თუ ვის რა აწყობს დასკვნით მატჩებში, ახლა შორს წაგვიყვანს და დიდად არც აზრი აქვს. ამიტომაც გუშინდელ მატჩებს მივუბრუნდეთ.

პირველი შეხვედრა წლევანდელი აშშ-ს ღია პირველობის ფინალის გადამღერება გახლდათ — როჯერ ფედერერს კვლავაც ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ენდი როდიკი მაინც წააქცია. შვეიცარიელისთვის ლამისაა საყვარელ გართობად იქცეს ენდიბოის გასილაქება — 13 ურთიერთშეხვედრიდან იანკის კინკილა თამაში აქვს მოგებული და ისიც სამი წლის წინ მონრეალში. მატჩის წინ როდიკი ცოტას კი ბაქიაობდა — ჯერ ისეთი ჩოგბურთელი არ დაბადებულა, მე რომ თორმეტჯერ მომიგოსო, მაგრამ მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ფედერერის არანაირ სტანდარტებში არ ჯდება და არც ამერიკელის მიერ მოგონილ ჩარჩოში მოინდომებდა ჩატევას.

თუმც როდიკის თავგამოდება მაინც აღსანიშნავია, ამერიკელი მართლაც ლომივით იბრძოლა და თავიდან უპირატესობაც ჰქონდა, მეორე სეტის ტაიბრეიკზე კი სულაც სამი მატჩ-პოინტი გაანიავა. მაგრამ ფედერერმა ესეც დაძლია და მეტოქე მაინც გატეხა.

სხვათა შორის, გენიალურ ალპელს ზედ თამაშის წინ გადასცეს პირველი ჩოგნისთვის განკუთვნილი პრიზი — „მხირულმა როჯერმა" ხომ რეიტინგის სათავეში ზედიზედ მესამე წელიწადი გალია. ამასთანვე გუშინდელი გამარჯვების შემდეგ შვეიცარიელი იქცა პირველ ჩოგბურთელად, ვინც ერთ სეზონში მოგებული თანხით 7 მილიონს გადააბიჯა. მოკლედ ამ კაცის რეკორდები არაფრით ილევა.

დღის მეორე შეხვედრა კიდევ უფრო დრამატული და საინტერესო გამოდგა — ნალბანდიანი ორსაათნახევარი ეჭიდავა ივან ლიუბიჩიჩს და მაინც იძლია. არგენტინელი ტაიბრეიკზე უხეირო თამაშმა დაღუპა, რის გამოც ახლა ლამის სასწაული დასჭირდება ჯგუფიდან გასასვლელად.

**კახა ლომაშვილი**

# ოქსანა ლოურენსვილში

**მაკა ჩახნაშვილმა** ფრანგულ დიუვალში დიდხანს ვერ იქნია ჩოგანი — საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი 50 ათასიანი ტურნირის პირველივე წრეში მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელს, კლასიფიკაციაში 68-ე ადგილზე მყოფ იულია ფედაკს შეხვდა და უიმედოდ — 2:6 1:6 დამარცხდა.

ამერიკულ ლოურენსვილში კი, როგორც გაირკვა, ორი კი არა, სამი ჩვენებური თამაშობს. ამათგან ერთი — 19 წლის სოფო მელიქიშვილი ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილ 20 წლის კანადელს, კლასიფიკაციაში 134-ე ადგილზე მყოფ სტეფანი დიუბუას დაუპირისპირდება.

კიდევ ორი ჩვენებური კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას და, თუ სალომე დევიძემ ამის გაკეთება ვერ მოახერხა, ნორჩ ოქსანა კალაშნიკოვას ერთი ნაბიჯიღა აშორებს მიზნამდე.

კვალიფიკაციის პირველ წრეში 16 წლის ოქსანას მეტოქე 19 წლისა და რეიტინგში 295-ე ადგილზე მყოფი გერმანელი ტანია ოსტერტაგი იყო. კალაშნიკოვა პირველ სეტში 5:2-ს იგებდა, როდესაც გერმანელმა თამაში შეწყვიტა. მეორე წრეში ოქსანამ 6:3 7:6 დაჯაბნა 25 წლის ამერიკელი ჯენიფერ ტუჰბალდი, ვისაც კლასიფიკაციაში 559-ე პოზიცია უჭირავს. მესამე და გადამწყვეტ მატჩს ჩვენებური 20 წლისა და რეიტინგში 417-ე საფეხურზე მყოფ კანადელ ჰეიდი ელ ტაბაჰთან წუხელ ჩაატარებდა.

რაც შეეხება დევიძეს, მან პირველ წრეში 13 წლის უნიჭიერესი ბულგარელი სვეტლანა კრივენჩევა 7:6 0:6 6:0 კი დაჯაბნა, მაგრამ მერე უიმედოდ — 0:6 2:6 წააგო 16 წლის ამერიკელ მედისონ ბრინვლისთან, ვინც კლასიფიკაციაში სალომეზე მცირედით წინ — 508-ე ადგილზე იმყოფება.

**ოთარ მხეიძე**

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები
ნაგოია და ოსაკა. იაპონია

# სერბული რენესანსი
## ვესნამ ბალკანელებს გაზაფხული დაუყენა



ვესნა ციტაკოვიჩი

იაპონიის ორ ქალაქში, ნაგოიასა და ოსაკაში ქალ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატია გახურებული. ამომავალი მზის ქვეყანაში საუკეთესო ნაკრებები ერთმანეთს გამალებით ერკინებიან და საქმე უკვე გადამწყვეტ ეტაპაბამდეც მიუყვანიათ — წინ მხოლოდ ნახევარფინალები და მთავარი მატჩია დარჩენილა..

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამჯერადაც ახალი ფორმატი „მოიგონა“ და წლევანდელი ჩემპიონატიც ასეთი სახით ვიხილეთ — თექვსმეტი ნაკრები ოთხ ქვეჯგუფში იყო განაწილებული, რომლიდანაც მხოლოდ ბოლო, მეოთხეადგილოსანი ვერ აგრძელებდა თამაშს.

ბუნებრივია, ეს ეტაპი თორმეტმა ნაკრებმა გადალახა, რომლებიც კიდევ ორ, ამჯერად ექვსგუნდიან ჯგუფში განაწილდა — თითოეული მათგანიდან კი ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადიოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატს სენსაციები არ აკლდა. უპირველეს ყოვლისა, მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის ჩინეთის უკბილო გამოსვლას უნდა გაესვას ხაზი, რომელსაც ნახევარფინალში მოსახვედრად წესივრად არც უბრძოლია. ჯგუფის ლიდერებთან — ბრაიზლიასა და რუსეთთან მარცხს ასე თუ ისე, ახსნა მოეძებნება, მაგრამ აი, გერმანელებთან და ჰოლანდიელებთან რა დაეტაკათ აზიელებს, ძნელად, რომ ვინმემ იცოდეს — ოთხი წაგებით ჩინელები A ჯგუფში მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

აქვე უნდა ითქვას კუბელთა საკმაოდ სუსტ თამაშზეც. წლევანდელმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ კუბელები ლიდერის პოზიციებს ნელ-ნელა თმობენ. „თავისუფლების კუნძულის“ ნაკრებს ხომ სიდნეის ოლიმპიადის მოგების შემდეგ ღირებული არაფერი გაუკეთებია.

კიდევ ერთი მოულოდნელობა, უფრო კი სენსაცია 28-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოჩენილმა სერბმა ქალებმა შემოგვთავაზეს. ბალკანელებმა მართლაც ფანტასტიკური თამაში აჩვენეს, არანაირ ავტორიტეტს არ შეშინებიან და ეგრევე ნახევარფინალში გააღწიეს, რისთვისაც მასპინძელ იაპონიასთან და იმავე კუბასთან უმძაფრესი ჭიდილი მოუხდათ. განსაკუთრებით სერბთა კაპიტან, ვესნა ციტაკოვიჩის თამაშია გამოსაყოფი — ჯერჯერობით ის ჩემპიონატის აშკარად საუკეთესო ფრენბურთელია.

დანარჩენი ნახევარფინალისტები კი ისინი არიან, ვისგანაც ამას მოელოდნენ. საუკეთესოთა შორის რომ ვერ მოხვედრილიყვნენ, მათთვის ტრაგედია იქნებოდა — საუბარია ბრაზილიაზე, რუსეთსა და იტალიაზე.

ბრაზილიით დავიწყოთ, რომელიც მსოფლიო პირველობის უპირველესი პრეტენდენტია. სამხრეთამერიკელები ჯერჯერობით დაუმარცხებელნი არიან და ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას სერბებთან ნახევარფინალში ეცდებიან, რაც წესით, მაინდამაინც არ უნდა გაუჭირდეთ.

ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ რუსებსაც, რომლებმაც მხოლოდ ბრაზილიასთან დათმეს შეხვედრა. სლავებს ნახევარფინალის წინ ამ ჩემპიონატზე თავიანთი საუკეთესო მოთამაშე ლუბოვ სოკოლოვა დაუშავდათ — მისი იტალიასთან თამაში სათუოა. თუმც თავიანთი ლიდერისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფრენბურთელის, ორმეტრიანი ეკატერინა გამოვას იმედი აქვთ, რომელსაც ჯერჯერობით საუკეთესო თამაში არ უჩვენებია. რუსებს პლუსად იტალიელი დამრიგებელი ჯოვანი კაპრარაც ჩაეთვლებათ, რომელსაც თანამემამულეთა ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე ყველაფერი კარგად მოეხსენება.

ბოლოს კი მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიელებზეც ვთქვათ, რომლებიც რუსებთან ნახევარფინალის წინ სულაც არ ჩანან აუტსაიდერებად — როგორც ძალიან გამოცდილმა ნაკრებმა, „აძურიმ“ თავიდან ცოტა მძიმედ დაიწყო, მაგრამ თანდათანობით ფორმა აკრიფა. ბოლო მატჩებში კი აპენინელთა მრისხანე დუეტი — ფრანჩესკა პიჩინინი და კრისტინ ტოგუტი უბრალოდ შეუდარებელი იყო.

**ბაჩა ლომაშვილი**






ჰარლეი ჰოთჩკისი, ჰერბ ბრუქსის ვაჟი დენ ბრუქსი, პატრიკ რუა და დიკ დაფი

# ის, რაზეც ოცნება ძნელია
## დიდების დარბაზში მატებაა

ტორონტოში მდებარე ჰოკეის დიდების დარბაზში ოთხი ახალი წევრი შეიყვანეს — ჰერბ ბრუქსი, პატრიკ რუა, დიკ დაფი და ჰარლეი ჰოთჩკისი.

„მირაჟი ყინულზე“ — ასე მოინათლა 1980 წლის ლეიკ პლესიდის ოლიმპიური თამაშების სუპერსენსაცია — კოლეჯის სტუდენტებით დაკომპლექტებული ამერიკის ნაკრების მიერ საბჭოთა კავშირის ზემძლავრი გუნდის დამარხვება და ოქროს მედლების მოპოვება და იმ ნაკრებს სწორედ ჰერბ ბრუქსი წვრთნიდა. ეს მართლაც სასწაული იყო — მაშინდელი საბჭოთა ნაკრები თვით NHL-ის პროფესიონალებს სისტემატურად ჯაბნიდა და 1980 წლის 22 თებერვალს კი ბრუქსის მიჭებმა ვიქტორ ვასილიჩ ტიხონოვის უძლეველი გუნდი 4:3 დაამარცხეს.

ოცი წლით ადრე, 1960 წელს ბრუქსმა, როგორც მოთამაშემ მოიგო სკვო ველის ოლიმპიადა და 2002 წელს კი, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე, უკვე პროფესიონალებით დაკომპლექტებული ამერიკის ნაკრები ფინალში გაიყვანა და იქ კანადასთან დამარცხდა.

სხვადასხვა დროს ის NHL-ის ოთხ გუნდს წვრთნიდა — „რეინჯერსს“ (1981-85), „მინესოტას“ (1987-88), ნიუ ჯერსისა (1992-93) და „პიტსბურგს“ (1999-2000), თუმც სტენლის თასი ვერ მოიპოვა.

ბრუქსი 2003 წლის 11 აგვისტოს 66 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ამიტომაც ორშაბათს ტორონტოში გამართულ საზეიმო ცერემონიალში მისი ვაჟი მონაწილეობდა.

პატრიკ რუა NHL-ის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მეკარეა, ვისაც რეგულარულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტი — 551 თამაში აქვს მოგებული. თავის 18-წლიან კარიერაში რუა ორი გუნდის — მონრეალისა და კოლორადოს ღირსებას იცავდა და ერთადერთია, ვისაც ერთბაშად ორი გუნდის სახელით მოუგია 200 და მეტი მატჩი.

რუა სტენლის თასის ოთხგზის მფლობელია — 1986 და 1993 წლებში მონრეალის სახელით გაჩემპიონდა, ხოლო 1996 და 2001 წლებში კოლორადოსთან ერთად იზეიმა გამარჯვება. თანაც, ამ ოთხი შემთხვევიდან სამში რუა პლეიოფის MVP-ს ტიტულისა და „კონ სმით ტროფის“ მფლობელი გახდა. რუა ასევე სამჯერ ფლობდა სეზონის საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილ „ვეზინა ტროფის“.

დღეს უკვე 70 წლის „დიკ“ დაფმა ლიგაში 19 სეზონი გაატარა და ექვსჯერ მოიგო სტენლის თასი — ორჯერ ტორონტოს (1962-63) და ოთხჯერ მონრეალის (1955-66, 1968-69) სახელით. კარიერაში მან 1000 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც 855 (283+572) ქულა დააგროვა.

ჰარლეი ჰოთჩკისი „კალგარი ფლეიმზის“ თანამფლობელი გახლავთ. სწორედ ჰოთჩკისის წყალობით, 1980 წელს ეს გუნდი ატლანტიდან კალგარიში გადავიდა და 1989 წელს „ალებმა“ ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიგეს სტენლის თასი.

„დრო სწრაფად, ძალიან სწრაფად გარბის — განაცხადა საზეიმო ცერემონიალზე დიდების დარბაზის ახალ წევრთაგან ყველაზე სახელოვანმა რუამ და დაამატა — ეს არის ის, რაზე ოცნებასაც კი ვერ ვბედავდი“.

# მესიეს სახელით და ხელით

NHL-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ლეგენდარული ჰოკეისტის, დიდი კაპიტნის მარკ მესიეს საპატივსაცემოდ დააწესოს ახალი ჯილდო, რომელიც იმ ჰოკეისტს გადაეცემა, ვინც ყინულზე და მის გარეთ ლიდერის განსაკუთრებულ თვისებებს გამოავლენს.



ჯილდო ყოველთვიურია და ლაურეატებს თავად მესიე დაასახელებს ხოლმე. ჯილდოს პირველი მფლობელის ვინაობა წუხელ გაირკვეოდა და NHL-ის ლეგენდა თავის პირველ რჩეულს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ დააჯილდოვებდა.

## რეგულარული ჩემპიონატი

13 ნოემბერი

**ლოს ანჯელესი 4:2 სან ხოსე**
*1:1 0:0 3:1*
0:1 მიხალეკი (10), 1:1 ფროლოვი (20), 1:2 ტორნტონი (41), 2:2 ვიშნოვსკი (45), 3:2 ბრაუნი (57), 4:2 ფროლოვი (60)

**ოტავა 3:6 მონრეალი**
*1:1 0:1 2:4*
0:1 კომისარეკი (13), 1:1 ამელი (19), 1:2 ბონკი (36), 1:3 ლატანდრესი (43), 1:4 ლატანდრესი (43), 2:4 ივზი (48), 3:4 ვერმეტი (54), 3:5 ჯონსონი (58), 3:6 კოვალიოვი (60)

**კაროლინა 4:7 ბუფალო**
*0:3 2:0 2:4*
0:1 ვანეკი (9), 0:2 პომინვილი (13), 0:3 ხეხტი (20), 1:3 უილიამსი (32), 2:3 უიტნი (36), 3:3 ბრინდამორი (47), 3:4 მეირი (48), 3:5 როი (52), 3:6 ჰოსტადი (54), 4:6 უოქერი (58), 4:7 ხეხტი (59)

**კოლორადო 1:2 ედმონტონი**
*1:0 0:2 0:0*
1:0 ჰეიდუკი (8), 1:1 სმითი (34), 1:2 სმითი (36)

**პიტსბურგი 3:2 ფილადელფია**
*0:0 2:1 1:1*
0:1 რობიტაილი (23), 1:1 კროსბი (29), 2:1 სტაალი (36), 2:2 სენდერსონი (43), 3:2 მალკინი (58)

**ფლორიდა 1:4 ვაშინგტონი**
*0:1 1:1 0:2*
0:1 პეტინგერი (19), 1:1 ჰორტონი (28), 1:2 ოვეჩკინი (27), 1:3 ზუბრუსი (55), 1:4 ზუბრუსი (60)

ველორბოლა




# ლაქები მზეზე

## ლენდისი იანვარს და სასამართლოს ელის

„მე მზად ვარ, მოვითმინო იმდენი, რამდენიც საჭიროა, რათა დავამტკიცო ჩემი სიმართლე ამ სადოპინგო საქმეში“ — განაცხადა ფრანგული საინფორმაციო საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ სკანდალურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ფლოიდ ლენდისმა.

ლენდისი, ვისაც ფრანგული შატენ-მელაბრის ანტისადოპინგო ლაბორატორიის საშინელმა დასკვნამ პარიზული ტრიუმი ორიოდ დღეში ჩაუშხამა, ჯერაც არ კარგავს იმედს და ფიქრობს, რომ მომავალი წლის იანვრისთვის დანიშნული სასამართლო მოსმენა მის უბრალოებას დაამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ ივლისის შემდეგ ლენდისი პირველად შეხვდა ფრანგ ჟურნალისტებს და ეს ფაქტიც მიანიშნებს, რომ ამერიკელი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ისაა, რომ სასამართლომდე ნუ მომაწებებთ დამნაშავის იარლიყს — განუცხადა ფრანგ ჟურნალისტებს ფლოიდმა და ფილოსოფიურად დაამატა — მზესაც კი აქვს ლაქები და ამიტომ ვფიქრობ, რომ თავის საქმეში საუკეთესო შატენე-მელაბრის ლაბორატორიასაც მოუვიდა შეცდომა.“

**გია მუჯირი**

კრივი

# ა, შენ 20 მილიონი და მრეკე



ევანდერ ჰოლიფილდი

**რინგზე** წარმატებით დაბრუნებულმა ევანდერ ჰოლიფილდმა მთლად აუშვა აფრები — სატიტულო ბრძოლა მწყურია და მათგან, ვისაც დღეს საჩემპიონო ქამრები არტყიათ, მეტოქედ IBF-ის უკრაინელ ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს ვისურვებდიო.

44 წლის დიდი ჩემპიონის მენეჯერმა მურად მუჰამედმა ჰოლიფილდის სურვილს საფუძვლად კარგა დიდი ლოდი, მთელი 20 მილიონი დოლარი დაუდო — უკრაინელი არ ინანებს, ევანდერთან ჩხუბს თუ დათანხმდება, მისი ჯიბე ამ 20 მილიონით გასქელდებაო.

IBF-ის ხელმძღვანელობა ითხოვს, რომ კლიჩკომ შემდეგი ბრძოლა ამ ვერსიით სავალდებულო პრეტენდენტთან, ამერიკელ რეემ ოსტინთან ჩაატაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფედერაციის შეფები ტიტულის ჩამორთმევით იმუქრებიან.

თავად უკრაინელმა კელვინ ბროკთან ამასწინდელი გამარჯვების მერე ბრძანა, ტიტულების გაერთიანება მინდა და შემდეგ ჩხუბს რომელიმე სხვა ქამროსანთან გავმართავო, მაგრამ, როგორც კრივის ამერიკელი ანალიტიკოსი სემი როზენბერგი ირწმუნება, კლიჩკოსთვის ჰოლიფილდზე უკეთესი ვარიანტი არ არსებობს, რადგანაც ამ უკანასკნელს, ვისაც თავის დროზე ოთხჯერ მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, მდიდარი სპონსორები ჰყავს და მასთან ჩხუბით ვლადიმირი გვარიან ფულს იშოვისო.

ოლიმპიზმი

# ოლიმპიური საღერღელი კარპატელებსაც აეშალათ

**ყოფილი** საბჭოთა კავშირიდან 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, მოგეხსენებათ, ჩვენს ბორჯომთან ერთად, ასევე ყოფილი ჩვენი, ახლა კი რუსების სოჭი და ყაზახთა ალმატი იბრძოდნენ. ჩვენ და ყაზახებს ამ ცდაზე თავიდანვე კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა, მაგრამ იხტიბარს არც ერთი ვიტეხთ, არც მეორე. სავარაუდოდ, სოჭის უახლოესი ოლიმპიური ამბიციებიც ფინიშთან ჩაილურის წყალს დალევს და ისიც მზერას 2018 წლისკენ მიაპყრობს.



ეტყობა, ყოფილი საბჭოეთიდან ამ ქალაქებს 2018 წლისთვის კიდევ ერთი, უკრაინის საკურორტო ცენტრი, „ბუკოველი“ შეემატება. ყოველ შემთხვევაში, ამას იქაური მასობრივი საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან და კურორტ „ბუკოველის“ გენერალური დირექტორის ალექსანდრ შევჩენკოს სიტყვებსაც იმოწმებენ. შევჩენკო ამბობს, ჩვენს კურორტს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მნიშვნელოვანი შანსი აქვსო. იმასაც დასძენს, ბუკოველი არა მხოლოდ კარპატების, არამედ მთელი მსოფლიოს წამყვანი ზამთრის დასასვენებელი ბრენდიაო.

„ბუკოველი“ კარპატებში ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. კომპლექსი 250 ჰექტარზეა გადაჭიმული და ორი წლის მერე მისი 600 ჰექტრამდე გაზრდაა ნავარაუდევი. აქედან 70 პროცენტი სათხილამურო ტრასებს ქვემოთ გაშენდება, დანარჩენი — ტურისტული ინფრასტრუქტურის ირგვლივ.

„ამგვარად, 2006-2007 წლების ზამთრის სეზონისთვის კურორტის ტრასების საერთო სიგრძე 50 კილომეტრს მიაღწევს. ჩვენი ტრასა სერტიფიცირებულია, ეს კი კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია „ბუკოველისთვის“ ოლიმპიურ ქალაქად გადაქცევის საქმეში“ — თქვა ალექსანდრ შევჩენკომ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# თავიდან ამოსაგდები ამბავი

## სან ფრანცისკომ ფარ-ხმალი დაყარა



სან ფრანცისკომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა მოინდომა და საამისო განაცხადიც გააკეთა. იქაური ქალაქის თავნი იმედოვნებდნენ, აი, საფეხბურთო გუნდ „სან ფრანცისკო 49“-ს სტადიონს აუშენებენ და იგი საოლიმპიადოდ ძალიან გამოგვადგებოდაო. თუმც კლუბის მეპატრონემ ჯონ იორკმა ეს საქმე გადაიფიქრა — ჩემი კლუბი კალიფორნიის სხვა ქალაქში, ალბათ, სანტა კლარაში გადაბარგდება და სან ფრანცისკოში სტადიონი რაღად მინდაო.

ერთი სიტყვით, სანფრანცისკოელებს ცივი წყალი გადაესხათ და ქალაქის თავებმაც ამოიგდეს ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# 779 ანძეული

**მსოფლიოში** სულ უფრო პოპულარული ხდება ცათამბჯენებსა და სატელევიზიო ანძებზე არბენა, რასაც პრესა და ტელევიზია ისევე აშუქებს, როგორც ნამდვილ სპორტულ შეჯიბრებებს. კაცმა რომ თქვას, ასეთი არბენები გაცილებით მეტ ენერგიასა და გამძლეობას მოითხოვს, ვიდრე სპორტის რაგინდარა სახეობა. კიბეებზე მორბენალთათვის ერთ-ერთი ასეთი სარბიელი გახლავთ ვენაში 150-მეტრიანი სატელევიზიო ანძა დონაუტურმი, რომლის კიბეზეც 779 საფეხურია. ვენის ანძამ ამ უქმეებზე ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, პოლონეთისა და უნგრეთის 400-მდე პროფესიონალი სპორტსმენი თუ მოყვარული მიიზიდა. გამარჯვებულმა ანძის საფეხურებზე არბენას სამ წუთზე ცოტა მეტი დრო მოანდომა, ჯილდოდ კი ნიუ იორკის ერთ-ერთ ცათამბჯენზე „ლაშქრობის“ საგზური მიიღო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ფეხბურთი

## ამხანაგური მატჩები

ნიგერია — სენეგალი გადაიდო | ავსტრალია 1:1 განა | უელსი 4:0 ლიხტენშტაინი

### ახალგაზრდულები

შვედეთი 2:4 საფრანგეთი | ჰოლანდია 0:1 ინგლისი | იტალია 0:0 ჩეხეთი

## ავსტრია

### თასის მეორე ეტაპი

ვენა 0:0დ.დ. (პენ.3:5) ლუსტენაუ

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge